სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 16 მაისი 2008 №110 (3334)
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერი ზესტაფონი

მესამემდე იყო ორი

დღეს არის ის, რაც უნდა ნახოთ!

www.pfl.ge

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 16 მაისი.

ამერი V

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი,

ვისი ჯერია დღეს: ამერის თუ იმერის?

დღეს „ეროვნულზე“, ასეც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს თასის ძველი მეტოქეების ფინალია. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გამართული კენჭისყრით, მასპინძელი თბილისის „ამერი“ „ზესტაფონს“ დაუხვდება.

შარშანდელ და შარშანწინდელ ფინალებში, ალბათ გახსოვთ, სწორედ ამ გუნდებმა ითამაშეს და ორივერვე მოგებული თბილისელები დარჩნენ. პირველად „ამერმა“ მატჩისშემდგომი პენალტებით გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ დიმიტრი ტატანაშვილის ერთადერთი გოლით.

აუცილებლად სათქმელია ის ფაქტიც, რომ „ზესტაფონი“ „ამერთან“ მატჩებამდეც იყო ფინალში და მაშინ, ასევე თბილისურ „ლოკომოტივთან“ 0:2 წააგო. იმერლები ახლა ზედიზედ მეოთხედ უტევენ სანუკვარ თასს და ვნახოთ, რა გამოუვათ...

გუშინ კი ეროვნული სტადიონის სალაროებთან ქომაგების რიგი იდგა. როგორც გავიგეთ, 15-20 ათასი სამლარიანი ბილეთი უკვე გაყიდულია და სადღეისოდ ალბათ ერთი ამდენიც გაიყიდება. მართლაც მაგარი თამაში უნდა იყოს და ქომაგობაც ამის მოლოდინშია. თბილისელებზე რომ არაფერი ვთქვათ, ზესტაფონელებიც დარაზმულები არიან და გვითხრეს, თავიანთი გუნდის მხარდასაჭერად რამდენიმე ათეული სავსე ავტობუსი ზესტაფონიდან ამ დილით დაიძრება. „ამერი“ კი, ტრადიციულად, გუშინ შიომღვიმის მონასტერში იყო და იქ მოილოცა...

საღამო უკვე ვარჯიშისა იყო. „ეროვნულზე“ ჯერ „ყვითლები“ გამოჩნდნენ და იქ დაახლოებით ერთი საათი დაჰყვეს, მერე კი იქაურობა „ზესტაფონს“ დაეთმო.

„ამერის“ მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ 18 ფეხბურთელი ავარჯიშა, ჯერ მოთელვა იყო, შემდეგ კვადრატი და ფეხბურთი შემცირებულ ფართობზე. ჩიხრაძემ შეგირდები ჯერ მოედნის ერთ ნახევარზე ათამაშა, შემდეგ მეორეზე. ვიფიქრეთ, ამერელები პენალტების დარტყმაშიც გაივარჯიშებდნენ, მაგრამ ასე არ ყოფილა, ეს ალბათ უფრო „საშინაო დავალება“ იქნება, ვინაიდან მათ გუშინდელ ვარჯიშს ზესტაფონელებიც ესწრებოდნენ და, ცხადია, ამერელებმა ჩანაფიქრი მეტოქის თვალს მოარიდეს.

ვარჯიშებამდე კი „ეროვნულზე“ მეტოქე გუნდების მწვრთნელთა პრესკონფერენციაც შედგა. გიორგი ჩიხრაძისა და თემურ მახარაძის შუა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს ახალი თასი ჩადგეს. რა თქმა უნდა, ორივე მწვრთნელს თვალი მალიმალ თასისკენ გაურბოდა, თუმცა გუშინ მხოლოდ ლაპარაკს დასჯერდნენ, დღეს კი ამათგან ერთი ამ თასს აუცილებლად აღმართავს. რომელი? ამას ათი საათისთვის ვნახავთ...

თემურ მახარაძე: „ფინალის მნიშვნელობაზე, ვფიქრობ, ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ძალიან რთული გზა გამოვიარეთ და აი, აქამდე მოვედით. „ზესტაფონისთვის“ ეს ზედიზედ მეოთხე ფინალია და გვსურს, რომ ამჯერად მაინც მოვიგოთ. ზესტაფონიდან მატჩზე დასასწრებად მთელი არმია ჩამოდის და ვეცდებით, მათ არ ვუღალატოთ და შინ გამარჯვებულები გავაბრუნოთ“.

გიორგი ჩიხრაძე: „ჩვენ აბსოლუტურად არანაირი ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშ არ ვართ. თასი ორჯერ კი მოვიგეთ, მაგრამ ეს უკვე ისტორიაა და, ცხადია, გვსურს, ახალი თასიც მოვიპოვოთ. ფეხბურთელები შემართულები და მონდომებულები არიან, მთელი სერიოზულობით ვემზადებით და იმედი მაქვს, გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება.

— ფინალში უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებთ?

თემურ მახარაძე: საბედნიეროდ, არავინ გვაკლია, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მართლაც უძლიერესი შემადგენლობა გვეყოლება.

გიორგი ჩიხრაძე: ჩვენ კი ტრავმებს ვერ გადავურჩით. სამწუხაროა, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში სულიკო დავითაშვილი და ლადო კაკაშვილი დაგვაკლდებიან. მათი თამაში გამორიცხულია, ხოლო დანარჩენები მზად არიან.

— ხომ არ აჯობებდა, რომ შარშანდელის მსგავსად, ეს ფინალიც უცხოელებს ემსაჯათ?

თემურ მახარაძე: „ზესტაფონს“ ქართველი მსაჯების კვალიფიკაციაში ეჭვი არ ეპარება და იმედი მაქვს, ისინი უშეცდომოდ იმსაჯებენ.

გიორგი ჩიხრაძე: შარშანდელი ფინალი თურქებმა მართლაც მაღალ დონეზე იმსაჯეს. ქართველი მსაჯების საწინააღმდეგო კი ჩვენ არაფერი გვაქვს, დანარჩენი მატჩის შემდეგ გამოჩნდება...

შემდეგ ერთი კითხვა პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანისკენაც იყო...

— როგორც ყოველთვის, პროფლიგა ქომაგებს ახლაც სიურპრიზებს ჰპირდება, სხვას ახლა ვერაფერს გეტყვით. სიურპრიზი იმისაა, რომ სიურპრიზად დარჩეს. ისე კი, მართლაც ლამაზი სანახაობა გველის, ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება.

— მეტოქეთა მწვრთნელებმა გუნდების შესაძლებლობებიც ალბათ კარგად იცით...

თემურ მახარაძე: რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად ვიცით, რა ფეხბურთს თამაშობს „ამერი“ და რისი უნდა გვეშინოდეს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, „ამერი“ და „ზესტაფონი“ ზედიზედ მესამედ არიან ფინალში. წინა ორი მატჩი „ამერმა“ მოიგო, ახლა კი ჩვენი ჯერია.

გიორგი ჩიხრაძე: როგორც ვთქვი, წინა ორი ფინალი უკვე ისტორიაა, ის ყველაფერი დავივიწყეთ და ახლა ახალი თასისთვის ვიბრძოლებთ. ჩვენ მეტოქის არანაირი კომპლექსი არ გვაქვს, ცხადია, მათი თამაშიც ვიცით და ვეცდებით, მათი მინუსები საჩვენოდ გამოვიყენოთ.

— როგორ ფიქრობთ, როგორი თამაში იქნება?

თემურ მახარაძე: დაბალი და უკომპრომისო.

გიორგი ჩიხრაძე: ეს ფინალი წინა ორისგან განსხვავებული გამოვა. კონკრეტულად რა და როგორ იქნება, აბა, ახლა რა გითხრათ, თუმცა კი უწინდელებისგან ნამდვილად განსხვავებულ თამაშს ველი. დანარჩენი უკვე მოედანზე გამოჩნდება.

ჩიხრაძემ და მახარაძემ შემდეგ თასთან ერთად სურათიც გადაიღეს და... დღეს უკვე თასთან ერთი ამათგანი დარჩება.

ძოგა ინასარიძე

გადრი ძეთილაძის ფოტოები

20 საათი. ეროვნული

S ზესტაფონი

ლ. მიქელაძე, გ. ვადაჭკორია

ზესტაფონი: ღმერთო, ახლა მაინც...

ბექა გოცირიძე სილამაზეს ელის

ზედიზედ სამი ფინალის წაგებად რაგინდარა ტურნირში კოშმარია და მით უმეტეს, როცა ეს ეხება კლუბს, რომელსაც ისტორიაში არანაირი ჯილდო არ მოუგია. ამიტომაც „ზესტაფონი“ ახლა იმ მშიერ მგელს ჰგავს, სამი კურდღელი რომ გაექცევა და მეოთხეს დასაჭერად ყურადღებას რომ უარესად ძაბავს, ემანდ, რაიმე ფათერაკი კიდევ არ შემემთხვესო.

ხომ არ ნიშნავს ეს ყველაფერი, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორით „ზესტაფონი“ ცუდ მდგომარეობაშია? ასეთ დროს სწორედ ფსიქოლოგიას ენიჭება დიდი მნიშვნელობა: შესაძლოა, გასული ფინალების წაგებამ ფეროელებზე ოდნავ მაინც დამთრგუნველად იმოქმედოს, მაგრამ, შესაძლოა, პირიქით, ბრაზმა სასიკეთო როლი შეასრულოს, ძალა შეგმატოს.

თემურ მახარაძე სამი ფინალიდან ორში ხელმძღვანელობდა „ზესტაფონს“ — ერთხელ 2005 წელს „ლოკომოტივთან“ (0:2), მეორედ კი შარშან „ამერთან“ (0:1), ამათ შორის კი ფეროელებმა კობა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით პენალტების სერიაში წააგეს ამერელებთან. თუ რომელიმე მწვრთნელზე ითქმის, საქართველოს ჩემპიონატი ხუთიანზე იცის და დიდად გამოცდილიაო, პირველ რიგში მახარაძეა.

ისე, შარშანდელის შემდეგ არც „ამერის“ და არც „ზესტაფონის“ შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა, ბირთვი თითქმის იგივეა. ეგებ, ეს გახსნილი ფეხბურთის წინაპირობაც იყოს — გუნდები ერთმანეთს მშვენივრად იცნობენ.

იმერლებს ბლომად გულშემატკივარი ეყოლებათ „ეროვნულზე“. ამბობენ, უფრო მეტი, ვიდრე წინა ფინალზეო. გუშინდელ ვარჯიზე კი „ზესტაფონს“ მხოლოდ რამდენიმე გულშემატკივარმა მოაკითხა, მათ შორის, ცნობილმა შოუმენმა ნიკა ქავთარაძემ — მან ფოტოები გადაუღო ფეხბურთელებს, თავისი ენამახვილობით ცოტა გაართო კიდეც ისინი...

კიდევ, გოგი ფიფია იყო ვარჯიშზე. გეცოდინებათ, ის ამჟამად გუნდში აღარ ირიცხება, მაგრამ „ზესტაფონის“ ფორმით იჯდა ტრიბუნაზე, მერე მინდორზე ჩავიდა და ფეხბურთელებს გამოელაპარაკა.

ჰო, ფინალამდელ გზას თუ შევხედავთ, „ზესტაფონს“ უფრო ძლიერი მეტოქეები შეხვდა, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ უდავო ფავორიტია: „ამერი“ ღირსეულად გავიდა ფინალში, შეიძლება ითქვას, დიდი დაბრკოლება არც შეხვედრია, „მაღაროელზე“ და „ბორჯომზეც“ აშკარად ძლიერი იყო.

ახლა კი „ზესტაფონის“ ვარჯიშზე, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. მახარაძემ ვარჯიშის უმეტესი ნაწილი ნახევარ მოედანზე ორკარას დაუთმო და ამით შეიძლებოდა საფინალო ძირითადი შემადგენლობის გამოცნობა: ეგაა, „ძირითადებში“ იყო მურთაზ დაუშვილი და ვნახოთ, დღესაც ასე იქნება თუ არა.

ისე, არ უნდა გაგვიკვირდეს: თემურ მახარაძე იმ მწვრთნელთა რიცხვს მიეკუთვნება, გადამწყვეტ მატჩებში მაქსიმალურ სიფრთხილეს რომ იჩენენ. ფეროელთა ძირითადი ალბათ ასეთი იქნება: *რ. კვასხვაძე, თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, აკუასაგა — კესანი, რ. ონიანი, დაუშვილი — ნ. კვასხვაძე, ვიეირა — ბ. გოცირიძე.*

ნავარჯიშევს მეკარე გრიგოლ ჭანტურია ხუმრობდა, მეოთხედ ვართ ფინალში და ერთი თასი მოუგებლად გვეკუთვნისო.

კარგ ხასიათზე იყო ამ სეზონში „ზესტაფონის“ საუკეთესო ფორვარდი *ბექა გოცირიძეც:*

„ძნელი მატჩი იქნება, მაგრამ უნდა მოვიგოთ. „ამერი“ კარგი გუნდია, კარგ ფეხბურთს თამაშობს. ვნახოთ, რაც ღმერთს უნდა, ის მოხდება...

...ჩემთვის ეს პირველი ფინალი იქნება. მართალია, დიდი ხანია, „ზესტაფონში“ ვარ, მაგრამ ფინალში არც ერთხელ არ მითამაშია.

...ვიცი, რომ ბევრი გულშემატკივარი მოდის ზესტაფონიდან და მათ იმედს არ გავუცრუებთ. ლამაზ თამაშს ველი. ის, რომ მეოთხედ ვართ ფინალში და წინა სამი წავაგეთ, არანაირად არ გვაშინებს. პირადად მე ნორმალურ ფორმაში ვარ და იმედია, გოლს გავიტან“.

ღმერთო, ხვალ მაინც მოგვაგებინეო — რამდენიმე ზესტაფონელისგან გაიგებდით ასეთ ვედრებას...

ილია ნანოგაშვილი
გადრი ძეთილაძის ფოტოები



დინამოზე უუშაკიც ითქვა

ზაგრების „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ზვონიმირ სოლდომ თანამდებობა დატოვა. სააგენტო ASSOCIATED PRESS-ის ცნობით, ახალგაზრდა სპეციალისტმა გადადგომის თაობაზე განცხადება ხორვატიის თასის მოგების შემდეგ გააკეთა.

„ამ წუთიდან „დინამოს“ მწვრთნელი აღარ ვარ. კლუბის ხელმძღვანელობა წინასწარ გავაფრთხილე“ — განაცხადა სოლდომ, რომელმაც გადადგომის მიზეზის დასახელება არ ისურვა.

სოლდო „დინამოს“ მიმდინარე წლის იანვარში ჩაუდგა სათავეში და გუნდს თასთან ერთად ჩემპიონობაც მოაპოვებინა.

ეს ამბავი რატომაც გვაინტერესებს, მოგეხსენებათ: „დინამოს“ მწვრთნელობას ბრანკო ივანკოვიჩსაც სთავაზობენ, რომელიც საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატია, თუმცა აქა-იქ ივო შუშაკის „დინამოში“ დასაქმებაზეც ითქვა...

ქახა შალამბერიძე

ქახა ცხადაძე: მანახეთ ბიუჯეტი და გეტყვით

ბაქოს „სტანდარდის“ მწვრთნელ ქახა ცხადაძეს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ესაუბრა — იქ ჩემპიონატში ორი ტური დარჩა და საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს სეზონის შეფასება სთხოვეს.

„შედეგით კმაყოფილი არ ვარ, თუმც ბოლო მატჩებმა დამანახა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. „სტანდარდი“ კარგ ფეხბურთს აჩვენებს, უბრალოდ, ფეხბურთელებს ოსტატობა არ ჰყოფნით. მოკლე დროში მოვახერხეთ თამაშის სტილის შეცვლა და ევროპულზე გადავედით: დაცვაში ხაზზე ვთამაშობთ და სამნი ვუტევთ“.

ცხადაძეს შეეკითხნენ, ამ სეზონის მერე თუ დარჩებით „სტანდარდშო“, რაზეც უპასუხა, რომ დარჩენის სურვილი აქვს...

„თუმცა კლუბის ხელმძღვანელობასთან ამაზე ჯერ არ მილაპარაკია. ახალ სეზონში ახალი მიზნები იქნება. ამ ხუთ თვეში აზერბაიჯანული ფეხბურთის გაცნობა შევძელი, აზერბაიჯანულმა ფეხბურთმა კი მე გამიცნო. გაისად სამეულში შესასვლელად თუ ვიბრძოლებთ? „სტანდარდს“ ძალიან ამბიციური მწვრთნელი ჰყავს, თუმც შედეგი მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჯერ უნდა გავიგო, კლუბის ბიუჯეტი რამდენი იქნება, რამდენად ვიაქტიურებთ სატრანსფერო ბაზარზე. ბაქოში მხოლოდ ხუთი თვით დასარჩენად ხომ არ ჩამოვსულვარ...“

აზერბაიჯანის ჩემპიონატს „ოლიმპიკი“ ლიდერობს, თუმც ლენქორანის „ხაზართან“ აქვს დარჩენილი პრინციპული მატჩი. ცხადაძეს პროგნოზის გაკეთებაც სთხოვეს...

„ოლიმპიკი“ დაცვიდან თამაშობს, ეს მისი სტილია. პირადად მე შემტევი ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ სპორტის ეს სახეობა იმიტომაც გვიყვარს, რომ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს. ვფიქრობ, „ხაზარი“ მოიგებს, თუმც ჩემპიონი მაინც „ოლიმპიკი“ გახდება. აზერბაიჯანიდან ევროთასებზე მეტნაკლები წარმატების შანსი კი სწორედ „ხაზარს“ აქვს, ასევე „ინტერს“, რომელმაც ბოლო მატჩებში საკმაოდ მოუმატა“.

ილია ნანობაშვილი

ადამიას ინტერი გაუმხილეს

ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი ადამია სეზონის ბოლოს ახალ გუნდში გადავა — წერს „აზერისპორტი“ და ჩვენებურის მორიგ ნავსაყუდელსაც ამხელს — ბაქოს „ინტერი“.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების ცნობით, ადამიამ უკვე დაიწყო „ინტერთან“ მოლაპარაკება, თუმცა ამ ამბავს ოფიციალურად არავინ ადასტურებს.

შორს დაიჭირა ადამიას ტრანსფერი „ინტერის“ თავკაცმა ვალენტინ ხოდუკინმაც: „სიმართლე გითხრათ, ამის თაობაზე არაფერი გამიგია და არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ხმები“.

ისე კი, არა გვგონია, „ნეფთჩი“ ადვილად შეელიოს ადამიას. რაც შეეხება „ინტერს“, მიმდინარე ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ერთი ქულით უსწრებს მესამეზე მყოფ „ნეფთჩის“.

ქახა შალამბერიძე

გადაწყდა: 18 და რუსთავი

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა დასრულდა, აღმოსავლეთ და დასავლეთის ზონების გამარჯვებულებიც ცნობილია — „გაგრა“ და ჭიათურის „მაღაროელი“.

მოგეხსენებათ, პლეი ოფში ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული უმაღლეს ლიგაში აღზევდება, დამარცხებულს კი ერთი შანსიც მიეცემა, ცხინვალის „სპარტაკს“ ან თბილისის „ლოკომოტივს“ გადათამაშებაში შეხვდეს. ეს მატჩი 24 მაისს ჩატარდება, თუმც ადგილი ჯერ უცნობია.

რაც შეეხება „მაღაროელი“ — „გაგრას“ მატჩს, გადაწყდა, რომ რუსთავში „ფოლადზე“ 18 მაისს გაიმართება და 16.30 საათზე დაიწყება.

ნუკრი ლოლაძე

უკრაინული „დნიპროსა“ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯაბა კანკავა ესტონეთ-პორტუგალიასთან ვერ ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ჩვენიანი მაისის მიწურულს მტკივან მხარზე ოპერაციას იკეთებს. კანკავას გუშინ უკრაინაში რომ დავუკავშირდით, დნიპროული ამბებიც ვკითხეთ და, ცხადია, ნაკრების თემასაც შევეხეთ: ჯაბამ ხომ ეროვნული გუნდის წლეულს გამართულ ორივე ამხანაგურ მატჩში ითამაშა, რამაც სირცხვილის მეტი ვერაფერი დაგვანახა...

დნიპრო დღეს, მაგრამ არა ხვალ

ესტონეთს და პორტუგალიას მხრები გამოაკლდნენ

— უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე ვერც „დნიპროს“ და ვერც შენ წარმატებული ვერ გამოგივიდათ. არადა, ერთხანს უკრაინის ჩემპიონატს ლიდერობდით, ახლა კი მეოთხე ადგილზე ხართ. მიზეზი?

— პირადად ჩემზე ვიტყვი, რომ პირველი წრე უკეთესი მქონდა, რეგულარულად ძირითადში ვთამაშობდი და გოლებიც გავიტანე. წლეულს კი გუნდში კონკურენცია გაიზარდა, ექვსი ახალი ფეხბურთელი მოვიდა და ხან თავიდანვე მიწევდა თამაში, ხანაც შეცვლაზე. მთლად უკმაყოფილოც არ ვარ, „დნიპრო“ ძლიერი გუნდია და თითოოროლა ფეხბურთელი ხვდება მუდმივად 11 კაცში, ასე რომ, ჩემზეა დამოკიდებული. უკეთ თუ ვითამაშებ, შრომა არ დამეკარგება.

— პირველ წრეში რამდენჯერმე შემტევ ნახევარმცველად ითამაშე. წლეულსაც ასეა თუ სულ საყრდენად გაყენებენ?

— გააჩნია, ვის ვეთამაშებით და რა სქემას ირჩევს მწვრთნელი. უფრო საყრდენი ვარ, ამიტომაც მეტწილად მეტოქის შეტევების ჩაშლა მევალება.

— ფინანსურად ძალიან ჩამორჩება „დნიპრო“ კიევის „დინამოსა“ და დონეცკის “შახტარს“?

— არა. ფინანსურად თითქმის არც არის განსხვავება. არ მგონია, ჩვენს პრეზიდენტს სხვებზე ნაკლები ფული ჰქონდეს. ვფიქრობ, ტრადიციებიც მოქმედებს, „შახტარსა“ და „დინამოს“ ევროპაში იცნობენ და ძლიერი ფეხბურთელებიც უფრო იქ მიდიან, ვიდრე „დნიპროში“. ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვეძლო, მაგრამ სულელურად წავაგეთ თამაშები.

— უეფას თასის საგზური მოიპოვეთ. „დნიპროს“ მიზანი ჯგუფურ ეტაპზე გასვლა იქნება?

— რა თქმა უნდა. შარშანაც რა ცოტა დაგვაკლდა ჯგუფში შესვლამდე... „აბერდინს“ ათიდან რვა თამაშს მოვუგებდით, მაგრამ გავვარდით. არა მგონია, წლეულსაც იგივე დაგვემართოს.

— „დნიპროში“ რჩები თუ წასვლაზე ფიქრობ?

— ამ ზაფხულს არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. მომავალში კი, ცხადია, უკეთეს კლუბში ვაპირებ გადასვლას — „დნიპროში“ სამუდამოდ დარჩენა რატომ უნდა მინდოდეს?! უკრაინის ჩემპიონატი ისეთია, თუ ძლიერად თამაშობ და ჩანხარ, ევროპის კარგ გუნდშიც არ გაგიჭირდება.

— შენს თანაგუნდელ სანდრო კობახიძეზე რას იტყვი. კლუბის ხელმძღვანელობას მისი ეიმედება?

— სანდროს ნაღდად აქვს იმის პოტენციალი, რომ „დნიპროში“ კარგად „ჩაჯდეს“. ჯერ მაინც ახალგაზრდაა და ძნელია, პირველივე სეზონში ძირითადში მოხვდეს. რამდენჯერმე ათამაშეს, ნელ-ნელა აჩვევენ გუნდს.

— ზამთარში თქვენთან გოგი ფიფია ვარჯიშობდა, შეკრებაზეც იყო ძირითად გუნდთან ერთად. რატომ არ აიყვანეს?

— მგონი, რაღაც სხვა პრობლემები შეიქმნა ფიფიასთან დაკავშირებით, თორემ „დნიპროს“ ის არ დაუწუნებია. პირიქით, კარგად გამოიყურებოდა ვარჯიშებზე. ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ არ აიყვანეს.

— ახლა საქართველოს ნაკრებზეც: 27 და 31 მაისის მატჩებისთვის მოგივიდა მოწვევა?

— მოწვევა მომივიდა, მაგრამ ვერ ჩამოვალ. სწორედ იმ დროს მხარზე ოპერაციას ვიკეთებთ მე და კობახიძე. პირველად თბილისის „დინამოში“ თამაშისას ვიტკინე მხარი, მას შემდეგ რამდენჯერმე შემაწუხა, ბრძოლაში განსაკუთრებით მტკივა ხოლმე.

— და რამდენი ხანი გაგიცდება?

— ოპერაციიდან სამ კვირაში, მაქსიმუმ ერთ თვეში დავიწყებ მზადებას. თვენახევარში სრული დატვირთვით ვარჯიში შემეძლება.

— ნაკრების წლევანდელ მატჩებზე რას იტყვი, რაშე ახსნას მოუძებნი ასეთ შედეგს?

— რაღაც გვაკლია და ეგ რაღაც რა არის, ვერ გავიგე. ყველას გვწყინს ამდენი წარუმატებლობა, მაგრამ მომავლის იმედს არ ვკარგავ. ფეხბურთია და წაგებისგან არავინაა დაზღვეული, თუმც წაგებასაც გააჩნია. ლატვიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ახალ მწვრთნელს სიამოვნებით ველოდები, ვნახოთ, იქნებ ახლა მაინც დავიწყოთ მოგება...

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ცამეტგზის ჩემპიონს თბილისის „დინამოს“

ძვირფასო დინამოელებო!

თქვენ ქართველ გულშემატკივარს კლუბის ისტორიის მანძილზე უკვე მეცამეტედ ჩუქნით უზარმაზარ სიხარულს.

ჩვენთვის წლევანდელი წელი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა, მაგრამ მოხარულები ვართ, რომ კლუბმა „დინამომ“ ზუსტად ახლა დაამტკიცა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ძალისხმევა — ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ქართველი გულშემატკივრისთვის სპორტულ ასპარეზზე გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მიენიჭებინა, ამაო არ აღმოჩნდა.

სულითა და გულით გილოცავთ.

დინამოელებო, ვამაყობთ თქვენით!

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი

უეფას თასი 2007-2008. ფინალი

ზენიტი 2:0 რეინჯერსი

1:0 დენისოვი (72), ზირიანოვი (90)
ზენიტი: მალაფეევი, ანიუკოვი, კრიფანაცი, შიროკოვი, შირლი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, დენისოვი, ფაიზულინი (კიმი 90), არშავინი, ფოთიჰ თექე
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
რეინჯერსი: ალექსანდერი, ბროუდფუტი, ვეირი, კუელიარი, პაპაცი (ნოვო 77), ჰემდანი (მაკკალოხი 70), უოტეკერი (ბოიდი 86), ფერგიუსონი, ტომსონი, დევისი, დარშევილი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: მალაფეევი (90)
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
47 500 მაყურებელი

ძალლის ბრალია

ადვოკაატს შამპანურით გამოეკიდნენ

პიკადილის ბაღები ფინალის შემდეგ

აი, რა უამბო „ზენიტის“ მეკარემ ვიაჩესლავ მალაფეევმა ნამატჩევს ჟურნალისტებს:

„სამშაბათს, დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე სასტუმროში განგაში აატეხა. ხანძარი გვეგონა და ოთახებიდან დერეფანში გამოვცვივდით.

მერე გაირკვა, რომ რეინჯერსელ ფანებს უმაიმუნიათ, რათა ჩვენთვის ძილი გაეტეხათ“.

„რეინჯერსის“ ქომაგები ერთობოდნენ, როგორც შეეძლოთ.

გლაზგოდან ჩასულ 100 ათასამდე გულშემატკივარს რაღაც ხომ უნდა ეკეთებინა მანჩესტერში.

ვინც სტადიონის გარეთ დარჩა, მათთვის ეკრანები დაამონტაჟეს, რომელთაგან ერთ-ერთი თამაშის დაწყებამდე გაფუჭდა. ველარ გამართეს და ამით გაბრაზებულმა სქოთებმა ეკრანს ბოთლები დაუშინეს.

ქომაგების სხვა ეკრანთან გადაყვანა ავტობუსით სცადეს, მაგრამ ვინ იყო ავტობუსში ამსვლელი...

ერთი რუსი გულშემატკივარი დანით დაჭრეს, მაგრამ ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა. 15 პოლიციელი და მათი ძაღლიც დაშავდა მთვრალ შოტლანდიელებთან ჩხუბში.

მავან ოფიცერს ყურში ისე მაგრად შემოჰკრეს, რომ ექიმმა ყურსასმენი თურმე ძლივს გამოაძრო.

მეორეს ბოთლი თავზე გადაამტვრიეს, მესამე კი სახლში კბილნაკლული გაუშვეს.

მოკლედ, იყო ამოვარდნილი მხრები, მოტეხილი ხელები, დასერილი და გასაკერი სიფათები.

და კიდევ იყო „რეინჯერსის“ ფეხბურთელების დაღონებული სახეები. როგორი იმედი ჰქონდათ, რომ თასს მანჩესტერიდან 350 კილომეტრში, გლაზგოში წაიღებდნენ, მაგრამ ამ სეზონში 64-ე მატჩი ითამაშეს და მათი მეტოქე უფრო საღად გამოიყურებოდა.

რუსთის ფეხბურთის შეფებმა „ზენიტს“ ანგარიში გაუწიეს და ჩემპიონატის სამი შეხვედრა გადაუდეს, „რეინჯერსმა“ კი ფინალამდე შვიდ დღეში სამჯერ ითამაშა.

მიუხედავად ამისა, „ჩაფრების“ მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა შოტლანდიის პრემიერლიგის ჩინოვნიკებს ხელები არ შეაწმინდა.

„არა მგონია, ჩვენი მარცხის ბრალი ეს იყოს. ჩემს გუნდს ფინალამდე კარგად დასვენება არ აწყენდა, მაგრამ არცერთს დაუჩივლია დაღლილობაზე.

ზამთარში შესვენება არ გვქონია, ეს იყო 64-ე მატჩი სეზონში და კიდევ ოთხი დაგვრჩა გასამართი. ამას დაუმატეთ სანაკრებო შეხვედრებიც და საკმაოდ ბევრი გამოვა, თუმც ამის გამო წუწუნი გაუმართლებელია. ფეხბურთელის საქმე თამაშია და მუდამ მზად უნდა იყოს.

ჩემი გუნდით ვამაყობ. ევროთასებზე 18 მატჩი ჩავატარეთ და თითოეული ფეხბურთელი თავდაუზოგავად იბრძოდა. მათზე აუგს ვერ ვიტყვი. „ჭოლოდ პრემიერლიგის შეფების დახმარება გვჭირდებოდა და უეფას თასს შოტლანდიაში ჩავიტანდით. ჩემპიონატის დასასრული ერთი კვირით ჩვენს გამო უნდა გადაეწიათ, მაგრამ არ ვიცი, რატომ არ ისურვეს.

შვიდ დღეში სამი მატჩის შემდეგ სამი დღე დავისვენეთ და კარს ეგრევე ფინალი მოგვადგა. ეს ხომ სიგიჟეა! ევროპული ჯილდოს მოგება შეგვეძლო, მაგრამ პრემიერლიგამ ხელი არ გაგვიმართა. შაბათს „დანდი იუნაიტედთან“ რომ არ გვეთამაშა, დარწმუნებული ვარ, უფრო საღად ვიქნებოდით. ოდნავ უფრო სწრაფად შევუტევდით და მეტ საგოლე მომენტსაც შევქმნიდით. ესპანეთში სეზონში 38-40 მატჩი გამომდიოდა, აქ კი 64-ზე ავედი“.

სტივენ უოტეკერის აზრით: „ისეთივე ტაქტიკით ვითამაშეთ, რომელმაც ფინალამდე მოგვიყვანა. პირველ ტაიმში მეტოქის შეტევებს კარგად გავუმკლავდით, მეორის დასაწყისში კო ორი მომენტი შევქმენით, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მათი პირველი საგოლე კობინაცია უმაღლესი დონის იყო“.

დიკ ადვოკაატს კი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა დაურეკა და გამარჯვება მიულოცა, ყოფილი პრემიერი ვიკტორ ზუბკოვი კი სტადიონზე იყო და ფეხბურთელებს გასახდელში ეახლა, სადაც შამპანური წვიმდა.

„ასეთ ჯილდოებს ყოველ წელს ვერ მოიგებ — თქვა ადვოკაატმა — ძალიან მეამაყება და უზომოდ გახარებული ვარ. თუ გავიხსენებთ ფინალამდე განვლილ გზას, თასს ალბათ ვიმსახურებდით კიდეც.

სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნების ჩემპიონატები მომიგია, მაგრამ ევროთასი არასოდეს და ეს განსაკუთრებული ამბავია.

ნახევარფინალის საპასუხო მატჩში ყველას ეგონა, რომ „ბაიერნთან“ წავაგებდით, მაგრამ ის მატჩი გაცილებით იოლად მოვიგეთ, ვიდრე ფინალი.

ვიცოდი, რომ „რეინჯერსს“ ზოგჯერ არაფრისგან შეუძლია გოლის სექმნა, თუმც ამჯერად არ გამოუვიდა.

მატჩის შემდეგ ბიჭებს შამპანურით ჩემი გაწუწვა სურდათ, მაგრამ მათზე არანაკლებ კარგ ფორმაში ვარ და დავუსხლტი“.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ანდრეი არშავინი დაასახელეს, რომელმაც დენისოვს საგოლე პასი მიაწოდა, და მეორე გოლისას კი კომბინაციაში მონაწილეობდა.

„როგორც მოსალოდნელი იყო, „რეინჯერსი“ მეტწილად თავს იცავდა, ჩვენ კი მათი ძლიერი დაცვის გარღვევას ვცდილობდით — განაცხადა არშავინმა — მეორე ტაიმის დასაწყისში რატომღაც დაღლა დაგვეტყო, უპირატესობა მეტოქისკენ გადავიდა და დარშევილს რომ გაეტანა, ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. საბედნიეროდ, გადავრჩით, მე კი კარგი პასი გამომივიდა და დენისოვის გოლმა „რეინჯერსი“ გატეხა“.

ვიქტორ ფაიზულინი 2007 წლამდე რუსეთის ქვედა დივიზიონის გუნდებში დაეხეტებოდა, „ზენიტში“ გადასვლის შემდეგ კი წელიწადნახევარში რრი ჯილდო მიითვალა: რუსეთის ჩემპიონი გახდა და უეფას თასიც მოიგო.

„ფინალისწინა ღამეს დამესიზმრა, თითქოს 7:2 მოვიგეთ და საათზე მეტხანს, გოლი რომ ვერ გავიტანეთ. ჩვენ გამარჯვებაში ცოტა დავეჭვდი, მაგრამ დასიზმრებული მაინც ამიხდა“ — თქვა 22 წლის ფაიზულინმა.

ვაჟა ხუციშვილი

დიკ ადვოკაატი თავის ყოფილ შეგირდს, „რეინჯერსის“ კაპიტან ბარი ფერგიუსონს ანუგეშებს

ზორბა სქოთმა მანჯუნიანელ პოლიციელებს არაფერი დაუთმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და ახალი სახეები?

რობერტო დონადონი

ახლახან იტალიურმა პრესამ 29-კაციანი სავარაუდო სია გამოაქვეყნა, რომელსაც რობერტო დონადონი 23 გვარამდე შეკვეცავს და ევრო 2008-ზე სწორედ ამ ხალხს წაიყვანს. სტივ უილსონი წუხს, რომ „სკუადრა აძურას" მწვრთნელი რისკზე ვერ მიდის, ახალ სახეებს არ ენდობა და ავსტრია-შვეიცარიაში ყველასთვის კარგად ნაცნობ შემადგენლობას წაიყვანს, რაც, უილსონის აზრით, იტალიის მეტოქეების წისქვილზე ასხამს წყალს

მაშ ასე, ნახეთ ის სია, რომელიც პრესამ გაავრცელა? ოფიციალურად ჯერ ცნობილი არაფერია, მაგრამ აპენინურ ჟურნალ-გაზეთებს თუ ვენდობით, მათ ეს სია სანდო წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელეს. იმ 29 ფეხბურთელიდან რობერტო დონადონი საბოლოოდ 23-ს აირჩევს. უნდა ვთქვა, რომ ცოტა გულდაწყვეტილი ვარ. სად არის რისკი?

კი ბატონო, მარკო ბორიელო განაცხადშია. თუმცა ეს სექტემბერში იქნებოდა შოკი, ხოლო ახლა, როცა მან სეზონი ჩინებულად ჩაატარა და სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირობის ბრწყინვალე შანსი აქვს, შეუძლებელი იქნებოდა ბორიელოზე თვალების დახუჭვა. ელიან, რომ მარკო ახალი პაოლო როსი ან ტოტო სკილაჩი იქნება. სასიამოვნოა სიაში რიკარდო მონტოლივოს ხილვაც, მაგრამ რამდენად რეალურია საბოლოო განაცხადში მისი დარჩენა? რომელი ცნობილი და გამოცდილი ნახევარმცველის ნაცვლად წაიყვანს მას დონადონი ავსტრია-შვეიცარიაში?

ჩემი აზრით, კიდევ ერთი პრობლემაა სიაში ჯანლუკა კურჩის ნაცვლად კრისტიან აბიატის ხილვა. რეალურად რომ ვთქვათ, რამდენი ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარე ჰყავს ახლა იტალიას? ალბათ მხოლოდ ერთი, სწორედ კურჩი, მიუხედავად იმისა, რომ იგი იდეალურ ფორმაში არ არის და „რომაში" სათადარიგოთა სკამზე ზის. ევრო 2008-ზე ძალიან საჭირო გამოცდილებას მიიღებდა და ბევრს ისწავლიდა. ძალიან საეჭვოა, რომ „სკუადრა აძურას" მესამე მეკარე დაჭირდეს და მით უმეტეს, ეს ადგილი აბიატიზე რატომ იხარჯება?

ასევე ძალიან არ მომწონს, რომ სიაში არ არის ანტონიო კასანო. დიახ, იგი არასტაბილური და რთული ხასიათისაა, მაგრამ სწორედ მას შეეძლო, იტალიის „იქს-ფაქტორი", „სკუადრა აძურას" ფარული და არაპროგნოზირებადი იარაღი ყოფილიყო. ბოლო ორ წელიწადში იტალია მეოთხედ ხვდება საფრანგეთს და ეთამაშება ჰოლანდიას, რომელსაც დონადონის ერთ-ერთი ძველი, კარგი მეგობარი წვრთნის. ამიტომ, ნაკრებს სჭირდება რაღაც მოულოდნელი, ახალი, რომლის გაანალიზება და შესწავლა შეუძლებელია. მჯერა, ეს „რაღაც" სწორედ კასანო იქნებოდა, რომელსაც ყველაფრის თავდაყირა დაყენება და მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლებოდა.

იმ 29-კაციან სიაში 15 ის მეომარია, რომლებმაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს. ვფიქრობ, რომ ყველა მათგანი იქნება საბოლოო განაცხადში. ამას აბიატი, ბორიელო, ანტონიო დი ნატალე და კრისტიან პანუჩი დავამატოთ. გამოდის, რომ კიდევ ოთხი ადგილია თავისუფალი. ვიცი, რომ მარჩელო ლიპის ნაკრებმა ორი წლის წინ ბრწყინვალედ ითამაშა ყოველგვარი ახალი, მოულოდნელი ფეხბურთელების გარეშე, მაგრამ ახლა აწმყოზე ვლაპარაკობთ და არა წარსულზე. ძალიან მინდა, დონადონისთვის „სიკვდილის ჯგუფში" ყველაფერი კარგად დასრულდეს და, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებებიც სწორი გამოდგეს. თუმცა ფაქტია, რობერტო ზუსტად იმას აკეთებს, რასაც მისგან ოპონენტები ელოდნენ.

სტივ უილსონი

პაოლო მალდინი

ტორინოს იმედზე

გასულ უქმეებზე ნეაპოლში წაგებით „მილანმა" თავი ისევ ურთულეს მდგომარეობაში ჩაიგდო. ბოლო ტურში „როსონერიმ" შინ აუცილებლად უნდა დაამარცხოს „უდინეზე" და იმის იმედზე იყოს, რომ უმოტივაციო „ტორინო" საკუთარ კედლებში „ფიორენტინასთან" არ წააგებს. სხვაგვარად „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩება.

„ისე გულდაწყვეტილი არ ვარ, როგორც გაბრაზებული. ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთ იყო. ამას დიდი შრომის შემდეგ მივაღწიეთ და შეგვეძლო, მეოთხე ადგილი მშვიდად მოგვეპოვებინა, მაგრამ ეს ვერ გავაკეთეთ. ადრეც მითქვამს და კიდევ ვიტყვი: სერია A ყველაზე რთული ჩემპიონატია. აქ 10-12 გუნდს საკუთარ კედლებში ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია, რაც მრავლისმეტყველია. ცხადია, „უდინეზესთან" მოსაგებად ვითამაშებთ და ბოლო ტურის მერე საბოლოოდ შევაფასებთ სეზონს. „ტორინომ" კი თავისი საქმე უნდა გააკეთოს და პატიოსნად იბრძოლოს, მჯერა, ასეც იქნება. ეს მხოლოდ ჩვენთვის კი არა, იტალიური ფეხბურთის პრესტიჟისთვისაა საჭირო" — განაცხადა „მილანის" ვეტერანმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა.

ტურინელებს ბრძოლისკენ მოუწოდებს „მილანის" 39 წლის კაპიტანი პაოლო მალდინიც, რომელიც კვლავ იმაზე ფიქრობს, დაასრულოს თუ არა კარიერა სეზონის ბოლოს.

„უფრო თამაშის გაგრძელებისკენ ვიხრები. უახლოეს მომავალში კვლავ ვიმსჯელებ ამაზე და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებ. ფაქტობრივად, ყველა მთხოვს, კიდევ ერთი წელი ითამაშეო, თანაც ჯანმრთელობის მდგომარეობაც გამომისწორდა. ამიტომ, ფეხბურთიდან წასვლას ალბათ გადავდებ. თუ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს ვერ მოვიპოვებთ, ეს ძალიან დიდი იმედგაცრუება იქნება, მაგრამ შანსი კიდევ გვაქვს. მიმდინარე სეზონში ყველა გუნდი ბოლომდე იბრძვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქულები აღარ სჭირდება, და იმედია, „ტორინოც" ასე მოიქცევა. თუმცა ასეა თუ ისე, სამწუხაროდ, ჩვენი ბედი ჩვენს ხელში არ არის" — აღნიშნა მალდინიმ.

გიორგი ძაძაგაძე

ნედვედი ევრო 2008-ზე არ წავა

35 წლის პაველ ნედველი, რომელმაც „იუვენტუსთან" კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულამდე ახლახან გააახანგრძლივა, ევროპის ჩემპიონატზე არ წავა. ნაკრებიდან 2006 წლის აგვისტოში წასულ ნახევარმცველს დაბრუნებას სთავაზობდნენ. მით უმეტეს, რომ არსენალელი ტომაშ როსიცკი მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ევრო 2008-ზე. თუმცა ნედვედმა ცოტა ხანი იფიქრა და შემოთავაზებაზე უარი თქვა.

„პაველს ბოლოს სამშაბათს ველაპარაკე. სამწუხაროდ, მისი პოზიცია უცვლელია, იგი ნაკრებში არ იქნება. უბრალოდ, საბოლოოდ დაგვიდასტურა გადაწყვეტილება" — თქვა ჩეხების მწვრთნელმა კარელ ბრიუკნერმა.

ოთხშაბათს კი „იუვენტუსმა" ვინოვოს საწვრთნელ ბაზაზე ნედვედს თანაგუნდელები და ფანები დიდი ოვაციებით დახვდნენ და კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მიულოცეს. შეგახსენებთ, რომ ჩეხი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას გეგმავდა.

„როგორც ვთქვი, ეს გადაწყვეტილება იმ შვიდი ბრწყინვალე წლის გამო მივიღე, რომელიც „იუვესთან"

ერთად მაქვს გატარებული. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდით. კიდევ ერთხელ მომინდა „ბიანკონერისთან" ერთად იმ ტურნირზე თამაში. ჩემს მეუღლესთან სრული ურთიერთგაგება გვაქვს და გადაწყვეტილებებს მუდამ ერთად ვიღებთ. მანაც თამაშის გაგრძელება მირჩია" — თქვა ნედვედმა.

გიორგი ძაძაგაძე

იტალია

სერია B. გადადებული მატჩი

ტრევიზო 2:1 გროსეტო

კიევო	39	23	11	5	72:39	80
ლეჩე	39	21	14	4	65:26	77
ალბინოლეფე	39	23	8	8	63:39	77
ბოლონია	39	21	12	6	53:29	75
ბრეშა	39	20	10	9	55:35	70
პიზა	39	17	14	8	56:42	65
რიმინი	39	17	9	13	59:45	60
ასკოლი	39	14	14	11	57:44	56
მანტოვა	39	15	11	13	52:45	56
ფროზინონე	39	15	9	15	57:59	54
ტრიესტინა	39	13	11	15	52:61	50
მესინა	39	13	10	16	37:53	49
ბარი	39	11	15	13	45:52	48
გროსეტო	39	10	16	13	43:50	46
პიაჩენცა	39	13	5	21	37:53	44
ვიჩენცა	39	9	15	15	41:57	42
მოდენა	39	9	14	16	50:59	41
ტრევიზო	39	9	11	19	37:50	38
აველინო	39	8	10	21	39:60	34
რავენა	39	8	10	21	47:70	34
სპეცია	39	6	14	19	41:62	31
ჩეზენა	39	5	15	19	34:62	30

„სპეციას" დაკლებული აქვს 1 ქულა

საბერძნეთი

სუპერლიგა. პლეი ოფი
VI ტური

აეკ 1:1 პანათინაიკოსი

არისი 3:3 პანიონიოსი

საბოლოო ცხრილი

პანათინაიკოსი	6	4	2	0	14:5	14
აეკ	6	2	2	2	10:11	8
არისი	6	1	2	3	9:9	5
პანიონიოსი	6	1	2	3	7:15	5

ჩილე

აპერტურა. პლეი ოფი
1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

ო ჰიგინსი 1:2 უნივ. დე ჩილე (2:4)

ა. იტალიანო 1:4 ევერტონი (3:0)

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
1/4 ფინალი. I მატჩები

ხაგუარესი 1:0 კრუზ აზული

მონტერეი 4:1 გვადალახარა

ლიბერტადორესის თასი 2008

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:2 ატლასი (მექსიკა)

0:1 ფ. სერანო (5), 1:1 ა. კასტრო (36ს.კ.), 2:1 ხ. კასერესი (75), 2:2 ნილო (90)

სან პაულუ (ბრაზილია) 1:0 ფლუმინენსე (ბრაზილია)

1:0 ადრიანო (20)

დიეგო

ლუჩო გონსალესი

ატლეტიკომ ექსკომპანიონები ჩაიფიქრა

ლუჩო და დიეგო მელეიბეთა სამიზნეზე არიან

ცამეტწლიანი შესვენების შემდეგ, მადრიდის „ატლეტიკო“ კვლავ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და მისი თავკაცნიც მსოფლიოს უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირისთვის გუნდის გაძლიერებას აპირებენ. „ატლეტიკოს“ ფავორიტები არგენტინელი ლუჩო გონსალესი და ბრაზილიელი დიეგო არიან, თუმცა ამ ფეხბურთელების მაღალი დონე „მელეიბეებს“ ჯიბის გვარიანად გამოცარიელებითაც ემუქრება.

ესპანურ მედიაში აცხადებენ, რომ ლუჩოს „პორტუსთან“ და დიეგოს „ვერდერთან“ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. „ატლეტიკომ“ სამომავალ-სეზონოდ ჯონი ჰეიტინგა და ტომაშ უიფალუში უკვე გადაიბირა და ახლა მოედნის ცენტრში საჭირო კაცის მიყვანას ცდილობს.

„ვისენტე კალდერონის“ კლუბს, ამ შეთხვევაში, სატრანსფეროდ 18 მილიონი ევრო გაუმზადებია, თუმცა „პორტუ“ და „ვერდერი“ თავიანთ ფეხბურთელებს გაცილებით ძვირად აფასებენ. პორტუგალიელებმა ლუჩო გონსალესის ღირებულებად 25 მილიონი ევრო დაასახელეს, ხოლო გერმანელთა განცხადებით, დიეგო „მუსიკოსებს“ 30 მილიონი ევროს ფასად თუ დატოვებს.

არგენტინის ნაკრების წევრი ლუჩო გონსალესი 27 წლისაა, პორტუგალიაში გატარებული 3 სეზონის განმავლობაში თავისი გუნდის უპირობო ლიდერად იქცა და ახლა აპირებს, ბედი უფრო პრესტიჟულ, ესპანეთის ჩემპიონატში მოსინჯოს. „ატლეტიკოს“ ძალიან ვაფასებ. შესანიშნავი იქნება, თუ ამ კლუბთან ხელშეკრულებას გავაფორმებ“ — განაცხადა ლუჩომ. ნათელია, რომ ფეხბურთელს მადრიდში თამაში სურს, თუმცა „პორტუ“ თავის ვარსკვლავს ასე ადვილად არავის დაუთმობს. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, პორტუგალიელებმა ხსენებული ოცდახუთმილიონიანი მაზანდა მხოლოდ 5 მილიონით შეამცირონ.

დიეგოს ამბავი ალბათ შაბათს გადაწყდება, როცა „ვერდერი“ და „შალკე“ გერმანული ვერცხლისთვის და, შესაბამისად, მომავალი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოსახვედრად იბრძოლებენ. თუ „მუსიკოსები“ საკვალიფიკაციოში მოხვდნენ, „ვერდერს“ ბრაზილიელის დაკავება გაუჭირდება. „ატლეტიკოს“ გარდა, დიეგოს ხელში ჩასაგდებად „რეალი“, „ბარსელონა“, „იუვენტუსი“ და „ჩელსი“ იბრძვიან.

ორივე ეს ფეხბურთელი წლების წინ „პორტუში“ ერთად იღვწოდნენ. 2005-06 წლების კამპანია ლუჩოს პირველი, ხოლო დიეგოს ბოლო პორტუგალიური სეზონი გახლდათ. გონსალესმა მაშინ „დრაგაუს“ კლუბის მესვეურთა დიდი მოწონება დაიმსახურა, ბრაზილიელმა კი მწვრთნელ ადრიანსენთან საერთო ენა ვერ გამონახა და 7 მილიონ ევროდ „ვერდერში“ გაასხვისეს. „პორტუს“ კაპიტან ლუჩო გონსალესს მასზე გადარეული ფანები მოწიწებით „ელ კომანდანტს“ ეძახიან, თუმცა გუნდს ფინანსურად უჭირს და არაა გამორიცხული, „ატლეტიკომ“ სურვილი აისრულოს.

ლადო ხოფერიძე

ბენფიკა კიკეს ევაჭრება


კიკე სანჩეს ფლორესი

„ბენფიკამ“ სვენ-გორან ერიკსონთან თანამშრომლობა აღარ მოინდომა და ახლა პორტუგალიელთა სამომავლო მწვრთნელობის კანდიდატი ესპანელი კიკე სანჩეს ფლორესია, თუმცა, არ არის გამორიცხული, გაისად „ეშტადიუ და ლუჟზე“ „ხეტაფეს“ დღევანდელი თავკაცი მიქაელ ლაუდრუპიც ვიხილოთ.

კიკე სანჩეს ფლორესი „არწივებმა“ მწვრთნელად მარტში მიიწვიეს, მაშინ, როცა „ბენფიკას“ თავკაცობა მეორე ესპანელს, ხოსე ანტონიო კამაჩოს დაატოვებინეს. თუმცა კიკემ იმ დროს პორტუგალიელთა წინადადებაზე უარი განაცხადა. დაინტერესებულ მხარეთა შორის სატრანსფერო მოლაპარაკება რამდენიმე დღის წინ განახლდა, მაგრამ, როგორც „ხეტაფესა“ და „ვალენსიას“ ყოფილი დამრიგებლის, სანჩეს ფლორესის აგენტი გარსია კილონი ამბობს, „ბენფიკას“ ესპანელთათვის კონკრეტული არაფერი შეუთავაზებია.

კილონის ვერსიით, კიკესთან თანამშრომლობით რამდენიმე გრანდი კლუბია დაინტერესებული. „ბენფიკას“ ახალი სპორტული დირექტორი კი ცნობილი რუი კოშტაა, რომელმაც აღნიშნა, კლუბი ახალ მწვრთნელს ეძებს, თუმცა სავარაუდო კანდიდატთა დასახელებას ჯერ ვერიდებითო.

ლადო ხოფერიძე

კატალონიის სამომავლოდ

თითქმის ორი წელიწადი დაგვიანდა არგენტინელ როდრიგო პალასიოს „ბარსელონას“ ფორმაში გამოწყობა, თუმცა ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ბოკა ხუნიორსის“ ფორვარდის „კამპ ნოუზე“ ჩაყვანის ამბავი აღარ გაჯანჯღლდება. პალასიოს ტრანსფერი 2006-ში კატალონიური გრანდის უფროსობას „ბარსას“ გურუმ, იოჰან კრუიფმა ურჩია, მაგრამ ხუან ლაპორტას ბანკმა მეგავარსკვლავურ კომბინაციას მიმართა და „არსენალიდან“ ტიერი ანრი გადაიბირა. დღეს კი ესპანეთში მიაჩნიათ, რომ 2008-09 წლების, პეპ გვარდიოლას ფორმაციის „ბარსელონას“ განახლება გუნდში როდრიგო პალასიოს მისვლით დაიწყება.

არგენტინელ ფორვარდს სხვა სერიოზული მთხოვნელებიც ჰყავს. პალასიოს აგენტი რობერტო დეპიეტრი აცხადებს, რომ „ბარსას“ გარდა როდრიგოს შეძენა „ჩელსიმ“ და „სევილიამ“ მოისურვეს. არგენტინაში დაბრუნებული სენიორ დეპიეტრი „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტ პედრო პომპილიოს მოეთათბირა და პალასიოს სატრანსფერო ღირებულებად 20 მილიონი ევრო გამოაცხადა. თუმცა, ესპანური „ასის“ ვერსიით, „ბარსელონამ“ არგენტინელებთან უკვე გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება და „ბოკას“ მოიერიშე 12 მილიონ ევროს ფასად მომავალი 4 წლის განმავლობაში კატალონიური სუპერკლუბის წევრი იქნება.

ასევე სავარაუდო ბარსელონელად ითვლება „მალიორკას“ გოლეადორი დანიელ გუისა, რომელიც „ვალენსიასაც“ ძალიან აინტერესებს. „არც „ბარსას“ და არც „ვალენსიას“ ჩვენთვის ოფიციალურად არ მოუმართავთ. როცა დაინტერესებული კლუბები ამას გააკეთებენ, გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ“ — თქვა პრიმერადივიზიონის მეგოლის წარმომადგენელმა ნურია ბერმუდესმა.

„კატალონიური თევზაობა“ გაიმართება სევილიაშიც, საიდანაც ლაპორტას აგენტები დანიელ ალვეშისა და სეიდუ კეიტას წაყვანას აპირებენ. „ბარსელონა“ ორივე ფეხბურთელში 40 მილიონი ევროს დახარჯვას გეგმავს.

ალვეშს „ბარსასთან“ საქმე უკვე თითქმის მოგვარებული აქვს და გაისად „კამპ ნოუზე“ თამაშის სურვილიც ჟურნალისტებთან არაერთხელ გამოუცხადებია. „ბარსელონა“ დიდი გუნდია, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო. ფეხბურთელი, რომელიც იტყვის, „ბარსაში“ თამაში არ მინდაო, ცრუპენტელაა. გრანდებში თამაში ყველას უნდა და გამონაკლისი არც მე ვარ“ — აღნიშნა ბრაზილიელმა „მარკასთან“ ინტერვიუში.

ახლა საქმე ის გახლავთ, „სევილიას“ ყოჩაღი პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო რის სანაცვლოდ გაუშვებს ალვეშს კატალონიაში. დელ ნიდოს ზვიგენის მადა აქვს, თუმცა რახან დანი ალვეში „ბარსაში“ მოსახვედრად გააფთრებით იბრძვის, შესაძლოა, გარიგება შედარებით იაფად შედგეს. „ალვეშმა „სევილიაში“ თავისი როლი უკვე შეასრულა, ისევე, როგორც ეს თავის დროზე ჟულიო ბაპტიშტამ, სერხიო რამოსმა და ხოსე ანტონიო რეიესმა გააკეთეს. გუნდისთვის ამ ფეხბურთელების წასვლა ტრაგედიად არ ქცეულა და ალვეშის შემთხვევაშიც მსგავს სიტუაციას მივიღებთ“ — წერს კატალონიური „სპორტი“.

სეიდუ კეიტა მალელია, ფრანგული პასპორტი აქვს და „სევილიაში“ 2008 წლის ზაფხულში „ლანსიდან“ 4 მილიონ ევროდ მივიდა. ანდალუზიურ კლუბთან აფრიკელის კონტრაქტის შეწყვეტის ოფიციალური თანხა 14 მილიონი ევროა. „ბარსელონა“ და „სევილია“ ამ ფეხბურთელებზე ვაჭრობას მომავალი კვირიდან, ანუ საამსეზონო პრიმერას დასრულების შემდეგ შეუდგებიან.

ლადო ხოფერიძე

როდრიგო პალასიო

ვიცოდი და მოხდა ქიდეს

ეპრაამ გრანტმა სახელოები დაიკაპიწა და „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ფსიქოლოგიური შეტევა წამოიწყო, რაც, სავარაუდოდ, 21 მაისის ჩემპიონთა ლიგის ფინალს ეძღვნება. როგორც იცით, სეზონის მთავარ ევროშეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ ორი ინგლისური გუნდი, „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ უნდა წარსდგეს. თამაში მოსკოვშია დანიშნული.

ახლა რაც შეეხება თავდასხმას: გრანტმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში მსაჯმა სტივ ბენეტმა შეუწყო ხელი. კერძოდ, „ჩელსის“ ბოსმა თქვა, პრემიერლიგის ბოლო ტურში, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „უიგანის“ შეხვედრაში ბენეტი მანჩესტერელების სასარგებლოდ მოქმედებდაო.

თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად, გრანტი კონკრეტულ ეპიზოდებს ასახელებს. მაგალითად, რიო ფერდინანდის მიერ საჯარიმო მოედანში ხელით აშკარა თამაშს, უიგანელთა საჯარიმოში უეინ რუნის წაქცევის თამამ ინტერპრეტაციას და პენალტის დანიშვნასა და ვილსონ პალასიოსის წინააღმდეგ ორჯერ უხეშობის მიუხედავად, პოლ სქოულზის მოედაზე დატოვებას. გეხსომებათ, მეორედ დაჯარიმების მომენტში სქოულზი ერთხელ უკვე იყო გაფრთხილებული.

გრანტმა თქვა: „დიახ, მე ვუყურე „უიგანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშის ჩანაწერს. მსაჯობაზე რას ვიტყვი? როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ის ერთი გუნდისთვის იყო კარგი“.

ამ ნათქვამის გამგონე ჟურნალისტებმა გრანტს დაუყოვნებლივ ჰკითხეს, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ინგლისელი მსაჯი რომ არ დანიშნეს, კმაყოფილი დარჩებოდითო, რაზეც „ჩელსის“ თავკაცმა გაიცინა:

„დიახ, რატომაც არა. ინგლისში ბევრი კარგი მსაჯია, მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომელთაც საკუთარი ხერხივით, სადაც გინდა, იქით მიმართავ. მაგალითად, „ოლდ ტრეფორდზე“ გამართული შეხვედრის შედეგი მაიკ დინმა განაპირობა. ჩვენთვის ეს აშკარა იყო. წითელი ბარათი, რომელიც მან ჯონ ობი მიკელს ამოუღო, გამოგონებული გახლდათ. მერე, კვირას სქოულზი იყო აშკარად გასაგდები. გარდა ამისა, იქ პენალტიც იყო, მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა. ჩემპიონი „იუნაიტედია“ და მას ვულოცავ. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ „ჩელსის“ წინააღმდეგ მთელს მსოფლიოს პირი აქვს შეკრული, თუმცა სიმართლესაც არ უნდა მოვუხუჭოთ თვალი. „მანჩესტერ იუნაიტედის“ სასარგებლოდ ბევრი რამ დაემთხვა.

მას მერე, რაც „იუნაიტედი“ დავამარცხეთ და ქულებით გავუტოლდით, ვიცოდით, რომ მათ „ვესტ ჰემთან“ და „უიგანთან“ ჰქონდათ სათამაშო, ანუ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არ იყო. არავინ იყო დარწმუნებული რომ ჩემპიონები მაინცდამაინც ჩვენ გავხდებოდით და არავის ეგონა, რომ გამარჯვებები ჩემპიონის ტიტულს მოგვიტანდა. დიდი პროგრამა გვქონდა შედგენილი. რამდენიმე თვის წინ ხელში „ლივერპულის“ გასწრების ვარიანტი რომ ჩაგვივარდა, მიზანს მივაღწიეთ. ორი თვის წინ უკვე „არსენელის“ გადასწრების პერსპექტივა გამოჩნდა და ესეც განვახოციელეთ. აი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადასწრების შანსი კი არასდროს გვქონია.

„მანჩესტერი“ ტიტულის დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა და კინაღამ მართლაც დაკარგა. ერთი სიტყვით, არავის არაფერს ვუკარგავ, მაგრამ იმასაც ვამბობ, რომ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ველოდი“.

გრანტის ამ გამოსვლამ ხალხს სამი წლის წინანდელი ამბავი გაახსენა, როდესაც „ჩელსიში“ მისმა წინამორბედმა ჟოზე მაურინიუმ შვეიცარიელი არბიტრის ანდრეს ფრისკის წინააღმდეგ გაილაშქრა. გეხსომებათ, მაურინიუმ „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს მერვედფინალური მატჩის შესვენებისას ფრისკთან „ტკბილ საუბარში“ დასდო ბრალი. მაშინ, „ამ ლაშქრობისთვის“ პორტუგალიელ მწვრთნელს ვიღაც-ვიღაცებმა ფეხბურთის მტერიც კი შეარქვეს.

თუმცა, გრანტისა და მაურინიუს მსგავსებაც ამაზე მთავრდება. ჩემპიონთა ლიგის ფინალში გრანტს „მანჩესტერ იუნაიტედის“ არ ეშინია.

„მეეჭვება, ფინალში ალექსმა რაიმეთი გამაკვირვოს ან მე გავაკვირვო ის რაიმეთი. მათი ყოველი სიძლიერე და სისუსტე ვიცით, ისევე, როგორც მათ იციან ჩვენი და ამიტომ ერთმანეთის გაკვირვება გაგვიჭირდება. რაც შეეხება მოტივაციას, ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია ნამდვილად არ სჭირდებათ. ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა „ჩელსის“ ისტორიაში ყველაზე დიდ თამაშამდე მოვსულიყავით და ახლა ამ შეხვედრაში გამარჯვება გვინდა.

მე რომ „ჩელსიში“ მწვრთნელად მოვედი, დამხვდა კლუბი, რომელიც სამჯერ იყო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დიდი კლუბი იყო. ხოლო, დიდი კლუბი, ან, თუ გნებავთ, დიდი ფირმა იმით შეიცნობა, თუ როგორ იქცევიან იქ ჩავარდნის პერიოდებში. გასულ საზონში ჩვენ ყოველი წაგებული თამაშის შემდგომი მატჩი მოვიგეთ და ეს ძალიან მრავლისმეტყველი იყო“.

პაპუნა კედია

მანჩესტერს ფაბიანუ მოსწონს



„ოლდ ტრეფორდზე“ ნანი, ანდერსონი და ჰარგრივსი მიიყვანა. ამჟამად სერ ალექსის ერთ-ერთი ფავორიტი სევილიელი მეგოლე ლუიშ ფაბიანუა.

ლადო ხოფერიძე

სერ ალექს ფერგიუსონი ლუიშ ფაბიანუს მოედანზე ოსტატობამ მოხიბლა და, როგორც ბრიტარული „თაიმსი“ აცხადებს, გაისად „სევილიას“ ბრაზილიელი, შესაძლოა, „მანჩესტერის“ ფეხბურთელად ვიხილოთ. „იუნაიტედის“ მწვრთნელის აზრით, „ოლდ ტრეფორდზე“ ლუი საასა და ზოგიერთი სხვა შემტევის მიერ ნაჩვენები შედეგი სასურველს ბევრად ჩამოუვარდება და ამის გამოსწორებას მხოლოდ ახალი ფეხბურთელების მიყვანით თუ შეძლებენ.

„მანჩესტერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ადრე ფერგიუსონს აღუთქვა, რომ წლეულს, კლუბის გაჩემპიონების შემთხვევაში, სერ ალექსი ბლომად ფულს მიიღებდა სამომავლო ტრანსფერებისთვის. „წითელი ეშმაკები“, მართლაც პრემიერლიგის ჩემპიონები გახდნენ, ასე რომ, მათ შოტლანდიელ მწვრთნელს ახლაც ისე გულუხვად შეუძლია კლუბის სალაროთი სარგებლობა, როგორც ეს შარშან გააკეთა და

რა კავშირია ინტერსა და დომენიკო ბრეშას შორის?

იტალიური „კორიერე დელო სპორტი“ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. პოლიციას დომენიკო ბრეშასა და „ინტერის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები ჩავარდნიათ ხელთ.

საქმე ის არის, რომ ბრეშა მაფიასთან კავშირსა და მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. გარდა ამისა, წარსულში ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო გარეული. ამჟამად კი სამკერვალო-ქსელის მფლობელია.

„ინტერის“ მთავარი მწვრთნელის, რობერტო მანჩინისა და მის თანაშემწე სინიშა მიხაილოვიჩის გარდა, „ლა რეპუბლიკას“ ცნობით, სამართალდამცავებს, რომლებიც ბრეშას საქმეს იძიებენ, მისი და „ნერაძურის“ ფეხბურთელების — მარკო მატერაცის, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ხავიერ ძანეტის — სატელეფონო საუბრების ჩანაწერებიც ჰქონიათ, რომელთა შინაარსი საიდუმლოდ რჩება.

მანჩინი, მიხაილოვიჩი და ფეხბურთელები კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილნი ჯერჯერობით არ არიან.

ძოკი ძანდელაძი

რომას ოპტიმიზმი

ალბერტო აკვილანი

იტალიური „რომა“ „ინტერს“ ქულითღა ჩამორჩება და დედაქალაქელთა ბანაკში იმედი აქვთ, რომ ბოლო ტურში ყველაფერი მათ სასიკეთოდ დასრულდება. ოპტიმისტთაგან ერთ-ერთია ახალგაზრდა ნახევარმცველი ალბერტო აკვილანი.

„მიხვიდე ბოლო ტურამდე ასეთ მდგომარეობაში, როცა „ინტერთან“ სხვაობა ერთ ქულამდე გაქვს შემცირებული და არ გჯეროდეს, რომ ყველაფერი შენს სასიკეთოდ დასრულდება, უბრალოდ დანაშაულია. ყველაფერს კატანიური და პარმული მატჩების 90 წუთი გადაწყვეტს. ჩემპიონატის ასეთი დრამატული დასასრული სერია A-ს ნებისმიერ მოყვარულს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს“ — თქვა აკვილანიმ.

არიან პესიმისტებიც. მაგალითად, „რომას“ ტრავმირებულ კაპიტან ფრანჩესკო ტოტის, რომელიც თავიდან მოვლენების განვითარებით კმაყოფილი იყო, მოგვინებით უთქვამს — „ინტერი“ „პარმას“ მოუგებს, სცენარი უკვე დაწერილიაო.

ალბერტო აკვილანი: „ინტერთან“ „სან სიროზე“ გამართული მატჩის მერე გავიაზრეთ, რომ „ნერაძური“ არაფრით გვჯობია და თუ ვინმეს უნდა ეშინოდეს, სწორედ „ინტერს“. რასაკვირველია, გული ძალიან გვწყდება უაზროდ დაკარგულ ქულებზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ სკუდეტოს მოპოვებას ვიმსახურებთ. „კატანია“ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და იმედი დავიტოვოთ, რომ „ინტერი“ ვერ მოიგებს“.

დედაქალაქელთა ოპტიმიზმზე უარყოფითად იმოქმედა იმ ამბავმა, რომ „კატანიასთან“ მატჩზე დასწრება „რომას“ ფანებს აუკრძალეს. აქაოდა, თავადაც იცით, როგორი გიჟმაჟი ქომაგები ჰყავთ სიცილიელებს, თან სხვადასხვა ვებ-გვერდებზე უკვე ვნახეთ, როგორ დაიგეგმა შეხვედრები, ულტრასები ერთმანეთში ჩხუბს აპირებენ და უსიამოვნებები თავიდან უნდა ავიცილოთო.

„როცა ფეხბურთელი მინდორზე გადის, ცხადია, მხოლოდ თამაშზე უნდა იფიქროს, მაგრამ ფანები მნიშვნელოვან როლს რომ თამაშობენ, ამას დავა და კამათი არ უნდა“ — აღნიშნა „ჯალოროსის“ მცველმა ფილიპ მექსესმა.

„გლადიატორები“ იმედოვნებდნენ, რომ კვირამდე ვითარება შეიცვლებოდა და მათ ულტრასებს „სტადიო მასიმინოზე“ სტუმრობის უფლება მიეცემოდათ.

ლეგა კალჩოს პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ მათი მხარე დაიჭირა — გასაგებია, რომ ასეთ დროს უსაფრთხოების ზომების დაცვა ჭირს, მაგრამ ვითარება როგორმე უნდა გავაკონტროლოთ, ასე აღარ უნდა გაგრძელდეს, თორემ სადავეები ხელიდან გაგვეცლებაო.

მოგვიანებით ამ აურზაურმა შედეგი გამოიღო, ოღონდ „რომას“ ფანებს კი არ დაუბრუნეს „სტადიო მასიმინოზე“ სტუმრობის უფლება, არამედ „ინტერის“ ქომაგებსაც აუკრძალეს „პარმასთან“ მატჩზე დასწრება...

ძოკი ძანდელაძი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა ლეი ოფი						
		16 მაისი						
22:45	369	დონკასტერი-საუთენდი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
		ინგლისი. II ლიგა პლეი ოფი						
		17 მაისი						
15:00	347	რიჩდეილი-დარლინგტონი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
21:00	348	სტოკპორტი-უიკომბი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		ინგლისი. კონფერენსი პლეი ოფი						
		18 მაისი						
14101	ესპანიოლი-ალმერია	1.75	2.10
14102	დეპორტივო-ვილიარეალი	1.80	2.00
14103	ვალენსია-ატლეტიკო	1.95	1.85
14107	მალიორკა-სარაგოსა	1.80	2.00
14108	მურსია-ბარსელონა	2.50	1.30
14110	რასინგი-ოსასუნა	1.80	2.00
14111	სევილია-ბილბაო	1.20	2.60
14112	ხეტაფე-ბეტისი	1.70	2.20
14113	მალაგა -პერკულესი	1.45	2.40
14114	ლას პალმასი-ეხიდო	1.70	2.20
14115	ელჩე-ეიბარი	1.70	2.20
14116	სერესი-კასტელონი	1.80	2.00
14117	ალბასეტე-კორდობა	1.70	2.20
14118	ნუმანსია-ალავესი	1.30	2.50
14119	სპორტინგი-სალამანკა	1.45	2.40
14120	ფეროლი-ტენერიფე	1.80	2.00
14121	სოსიედადი-გრანადა	1.30	2.50
14122	სელტა-კადისი	1.70	2.20
14123	ტარაგონა-სევილია ბ	1.65	2.30
14124	მეცი-ლე მანი	2.10	1.75
14126	ლორიანი-ლილი	2.00	1.80
14127	ოსერი-ლიონი	2.60	1.20
14129	სტ.ეტიენი-მონაკო	1.45	2.40
14131	სოშო-პსჟ	2.30	1.65
14134	ტულუზი-ვალენსიენი	1.20	2.60
14135	ლანსი-ბორდო	2.00	1.80
14136	ნიცა-კაენი	1.70	2.20
14137	ბულონი-ნიორი	1.75	2.10
14138	გენგამი-ტრუა	1.80	2.00
14139	ლე ავრი-ბასტია	1.30	2.50
14140	ანჟე-ბრესტი	1.80	2.00
14141	შატორუ-კლერმანი	1.85	1.95
14142	აიაჩო-დიჟონი	1.95	1.85
14143	სედანი-გრენობლი	1.80	2.00
14144	ამიენი-გენიონი	1.45	2.40
14145	მონპელიე-ლიბურნი	1.30	2.50
14146	რეიმსი-ნანტი	1.90	1.90
14161	სიმკი-ლოკომოტივი მ	2.20	1.70
14163	დინამო მ-ტერეკი	1.20	2.60
14220	ბოდიო გლიმტი-ტრომსიო	1.95	1.85
14221	ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი	1.80	2.00
14222	ბრანი-ვოლერენგა	1.75	2.10
14223	ლინი-სტაბეკი	2.00	1.80
14224	ფრედრიკსტადი-ალესუნდი	1.45	2.40
14225	მოლდე-ვაიკინგი	1.90	1.90
14226	რუსენბორგი-ლილესტრიომი	1.65	2.30
14341	პორთსმუთი-კარდიფი ნ	1.30	2.50

საქართველოს ჩემპიონატი
სუპერლიგა. ნახევარფინალი

უნივერსიტეტზე მეტი
ავიამშენი ისევ ფინალამდე აფრინდა

15 მაისი. სპორტის სასახლე

თსუ 2:3 ავიამშენი

თსუ 84:98 ავიამშენი

23:25 17:24 16:25 28:24

თსუ: არწივიძე (6), ხეცურიანი (13), ფანწულიძე (17), ბარბაქაძე (19), ყველაშვილი; კეიდია (14), ტყეშელაშვილი (13), კოხრეიძე (2), ივანეიშვილი, ხიზანიშვილი

ავიამშენი: ტულუში (23 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ნიკოლაძე (23), ბერაია (3), მინაშვილი (26 ქულა, 12 მოხსნა), მათიაშვილი; კვიმსაძე (13), ნინიაშვილი (4), როდუმტა (6 ქულა, 4 დაფარება)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

თამაში 20 წამის დაწყებული იყო, „ავიამშენის" ლიდერმა კოტე ტულუშმა მეორე ჯარიმა რომ მიიღო. თითქოს არაფერიო, მაგრამ ლევან მოსეშვილის გუნდისთვის ეს დიდი დარტყმა იყო. ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში, რომელშიც „ავიამშენი" ლიდერობდა, ტულუშმა პერსონალურების ლიმიტის გამო უკვე მესამე მეოთხედში დატოვა მოედანი და საბოლოოდ მისმა გუნდმა წააგო. მოსეშვილს კოტე მოედნისთვის არ გაურიდებია, თითქმის შეუცვლელად, 38 წუთი ათამაშა და ტულუშმაც მომდევნო, მესამე ჯარიმა იცით, როდის მიიღო? თამაშის დასრულებას 37 წამი რომ აკლდა და „ავიამშენის" გამარჯვებას შეუპოვარი სტუდენტებიც კი შეუგებოდნენ.

ჯარიმები ვახსენეთ და აქვე ისეთ მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც „ავიატორთა" გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ნათელს მოჰფენს: მოსეშვილის გუნდმა თამაში 12 პერსონალურით დაასრულა და მოედნიდან არც ერთი მოთამაშე არ გავარდნია, როცა სტუდენტები 31-ჯერ დაჯარიმდნენ და მატჩი ხუთკაცნაკლულებმა ჩაამთავრეს.

„ავიატორთა" წარმატების მიზეზიც დაცვაში სუფთა და, რაც მთავარია, შედეგიანი თამაში გახლდათ. თავში ნახსენებმა ტულუშმა საპირველწუთო ჯარიმების შემდეგ დიდოსტატურად განაგრძო გარჯა და თითქმის მთელი თამაში ისე უძღვებოდა „ავიამშენის" შეტევებს, რომ ჯარიმა არ მიუღია. მას დაცვაში თანაგუნდელები ეხმარებოდნენ, რომლებსაც ტულუში შეტევაში უხვად ასაჩუქრებდა გამოზომილი პასებით და მოსეშვილის გუნდმაც ისე ჩაატარა შეხვედრა, საკუთარი უპირატესობა სათუო წუთითაც არ გაუხდია.

დიდად შევაქეთ ტულუში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამებრძოლთა ჩაუქობის გარეშე ის ვერას დააკლებდა ნუგზარ ჭეიშვიის უტეხ გუნდს. გუშინ თითქმის ყველა „ავიატორმა" ზუსტად შეასრულა მწვრთნელის დავალება და ბოლო სამ ფინალში ნათამაშებ „ავიამშენს" საჩემპიონო სერიაში ბრძოლის უფლება მეოთხედაც უბოძა.

ვახტანგ მინაშვილმა თავიდანვე დიდი თავსატკივარი გაუჩინა სტუდენტებს და „ავიამშენმა" სწორედ მისი ქულუხვობით მოიპოვა სადებიუტო უპირატესობია — 13:17. თსუ-მ ფარქვეშ. გამაგრებულ მეტოქეს წინა მატჩებში ნაცადი ტაქტიკა დაუპირისპირა და შორიდან დაუწყო ჩხვლეტა. ვახტანგ ტყეშელაშვილმა, რომელმაც პირადად მოაგებინა სტუდენტებს წინა შეხვედრა, ამჯერადაც წამოიწყო ზუსტი სამქულიანების სროლა და პირველი მეოთხედის მიწურულს სტუდენტებმა ლიდერობაც კი მოიპოვეს — 23:22, თუმც ჩინებულად მოთამაშე ბუბა კვიმსაძემაც მიითვალა სამიანი და „ავიამშენი" პირველ შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით გავიდა.

ცხადი იყო, რომ მოსეშვილის აწყობილად მოთამაშე გუნდის ერთადერთ საფრთხეს შორი სროლები შეუქმნიდა. განსაკუთრებით საშიში იყო ტყეშელაშვილი, რომელიც 2 მეტრზე მაღალია, მაგრამ მთავარ კოზირად სამქულიანები აქვს. მას მაღალი და თანაც მოძრავი მეურვე თუ დაიჭერდა და ამ დროს მიიღო ტრავმა „ავიატორთა" სწორედ ამგვარი ყაიდის მოთამაშე თორნიკე ნინიაშვილმა. ვერ დავიჩემებთ, რომ ამის გამო გამოჩნდა მოედანზე კამერუნელი პლასიდე როდუმტა, ეგებ მოსეშვილი ისედაც აპირებდა წოწოლა შავკანიანის თამაშში ჩართვას, მაგრამ ფაქტი ერთია: როდუმტას გამოჩენამ ტყეშელაშვილს ხელ-ფეხი შეუკრა. თანაც კამერუნელი სხვა მნიშვნელოვანი საქმეებითაც იყო დაკავებული: თავის ფარქვეშ ოპონენტებს უფარებდა, მეტოქისაზე კი თავისანთა აცილებულ ბურთებს ხსნიდა.

კოტე ტულუშმა (ნიღბით) „ავიამშენი" ფინალში გაიყვანა

ფოტო ფეხბურთელების ოფიციალურ საიტიდან

რაკი ნახსენები საფრთხე თავიდან აიცილეს, „ავიატორებს" შეტევაში ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნათ. გიორგი ნიკოლაძემ შურდულ-გარღვევები წამოიწყო და ივიეს აკეთებდა ტულუშ-კვიმსაძის კარგად შეწყობილი ტანდემიც. შედეგმაც არ დააყოვნა და „ავიამშენმა" ნიკოლაძის მორიგი გარღვევის შემდეგ 10-ქულიანი ლიდერობა დაიბევა — 29:39.

პირველი მეოთხედის ბოლომდე მოსეშვილის გუნდმა ეს ლიდერობა იოლად შეინარჩუნა და დიდი შესვენების შემდეგ მის განმტკიცებას შეუდგა. თსუ-ს ხსნა არ ჩანდა. სტუდენტები აშკარად გადაღლილები იყვნენ და ის იარაღი (პრესინგი) დაბლაგვებოდათ, რითაც წინა მატჩებში ათ და ოცქულიან დეფიციტს თვალისდახამხამებაში აბათილებდნენ. მინაშვილის, ტულუშის და ნიკოლაძის შედეგიანობამ „ავიამშენის" ლიდერობა ოც ქულამდე გაზარდა და თსუ-მ ისე ჩაამთავრა თამაში, მეტოქესთან მიახლოების შანსიც არ მისცემია.

მაშ ასე, ფინალისტები ცნობილნი არიან და საჩემპიონო სერიაც 18 მაისს რუსთავში დაიწყება. მოქმედ ჩემპიონ „ენერჯი-ინვესტს" „ავიამშენთან" მოედნის უპირატესობა აქვს და ვნახოთ, რამდენად გადამწყვეტი იქნება ეს ფაქტორი ჩემპიონის გამოვლენის საქმეში.

ფინალი

18 მაისი. რუსთავი. 17:00
ენერჯი-ინვესტი — ავიამშენი

19 მაისი. რუსთავი. 17:00
ენერჯი-ინვესტი — ავიამშენი

22 მაისი. თბილისი. 15:15
ავიამშენი — ენერჯი-ინვესტი

თუ საჭირო გახდა

23 მაისი. თბილისი
ავიამშენი — ენერჯი-ინვესტი

25 მაისი. თბილისი
ენერჯი-ინვესტი — ავიამშენი

NBA პლეი ოფი. მეორე წრე
გაშინაურებულები

14 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 3:2 კლივლენდი

ბოსტონი 96:89 კლივლენდი

ბოსტონი: პირსი (29), გარნეტი (26 ქულა, 16 მოხსნა), რონდო (20 ქულა, 13 პასი), ვესტი (21), შერბიაკი (10)

კლივლენდი: ჯეიმსი (35), ვესტი (21), შერბიაკი (10)

ლებრონ ჯეიმსი ბოლოს და ბოლოს დაემსგავსა საკუთარ თავს და აკეთა ის, რასაც მისგან „ბოსტონთან" წინა ოთხ შეხვედრაში ელოდნენ, მაგრამ „კლივლენდის" შავმა მარგალიტმა მხოლოდ ერთი ტაიმი იციაგა. „ბოსტონმა" დროულად ჩააქრო და უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო.

წინა ოთხ შეხვედრაში ჯეიმსს სროლების ოდენ 25 პროცენტი ჩაეგდო, ახლა კი მან ბოსტონელი დამცველებისგან როგორღაც თავი დაიძვრინა და თამაში თავიდანვე ისეთი რიხით დაიწყო, ხალხმა იფიქრა, მთელ „სელტიქსს" წალეკავსო. ლებრონმა პირველ მეოთხედში 11 ქულა გააკეთა. მისი აქტიურობის წყალობით, „კლივლენდი" პირველივე წამებიდან დაწინაურდა და მალევე 18:9 გალიდერდა, მეოთხედი კი 23:18 მოიგო. „ბოსტონის" მარბიელს შემართება მეორეშიც ეყო, აქაც 12 ქულა უყელა მასპინძლებს, მაგრამ სხვაობამ 14 ქულას რომ უწია (43:29), ტაიმის დასრულებამდე ასე ოთხი წუთით ადრე, მან ხელიც ველარ გაანძრია, თითქოს გაჭენებული ცხენიდან ჩამოაგდესო და „კავალერიის" იერიშიც აქ შეფერხდა. „ბოსტონმა" კი დაცვას მოუჭირა, კონტრშეტევაზეც გადავიდა და დარჩენილ დრჭოში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც მასპინძლების იყო — ჯერ კევინ გარნეტმა ჩაუჭრა ლებრონიანებს და რეი ალენი გარღვევაზე გაუშვა, შემდეგ კი რაჯონ რონდომაც მოიპარა ბურთი და თავადვე ჩააგდო, რის შემდეგაც „ბოსტონი" პირველად დაწინაურდა და აღარც გაუჭენა „კავალერია". ჰოლ პირსმა თავადაც იჩაუქა შეტევაში და ლებრონსაც საიმედოდ უმეურვეა ისე, რომ მან საბოლოოდ 35 ქულით კი დატოვა მოედანი, მაგრამ გასახდელში მხოლოდ მარცხის ბალღამი გაიყოლა.

ამგვარად, „ბოსტონი" კვლავ დაწინაურდა და ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა აღმოსავლეთის ფინალს, სადაც ბოლოს 2002 წელს იყო. მაგრამ „კელტებს" დიდად არ ეზეიმებათ. ისინი ბეწვის ხიდზე მოქანავე გოლიათს ჰგვანან — იგებენ მხოლოდ შინ და ჯერ ერთი გამარჯვებაც არ მოუპოვებიათ გასვლაზე, არც „ატლანტასთან" და არც „კლივლენდთან".

დასავლეთი

ლეიკერსი 3:2 იუტა

ლეიკერსი 111:104 იუტა

ლეიკერსი: ბრაიანტი (26), ოდომი (22 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (21 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა, 4 დაფარება), რადმანოვიჩი (15), ფიშერი (14)

იუტა: უილიამსი (27 ქულა, 10 პასი), ბუზერი (18 ქულა, 12 მოხსნა), ბრიუერი (16), ოქური (13 ქულა, 13 მოხსნა), კირილენკო (12)

კობი ბრაიანტმა „იუტასთან" სერიაში ყველაზე უღიმღამო მატჩი ჩაატარა და ხუთ შეხვედრაში პირველად ვერ შესწვდა 30-ქულიან ნიშნულს, მაგრამ „ლეიკერსი" ხომ აღარაა დამოკიდებული მხოლოდ ერთ კაცზე, თუნდაც ეს ერთი კაცი ნბა-ს ოფიციალურად საუკეთესო მოთამაშე იყოს. ფილ ჯეკსონმა ბოლოს და ბოლოს მიაღწია თავისას და ახლა კბეჩს შემოდგომაზე ჩაყრილი ხეხილის ნაყოფს.

„იუტა" დაუმარცხებელი მასპინძელი ხომ არის და აგრესიული სტუმარიც გამოდგა — 2:2 ანგარიშზე, უმნიშვნელოვანეს დროს მოისურვა „ლეიკერსის" მისსავე „სტეიპლზ სენსერში" შერცხვენა, მაგრამ არ გამოუვიდა. ლოსანჯელესელებმა კვლავ მოაშთეს კარლოს ბუზერი, მაგრამ ფიშერმა ვერც ამჯერად მოუხერხა რამე „იუტას" გამთამაშებელ დერონ უილიამსს, ვინც კვლავ ორმაგი დუბლი შეასრულა ქულაპასებით. ნბა-ს ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებელს მოულოდნელად პასების კეთებაში გაეჯიბრა ყველაზე წოწოლა „ლეიკერი", 211-სანტიმეტრიანი პაუ გასოლი. საზოგადოდ, კი ეს იყო თანაბარი მატჩი, რომლის პირველ ტაიმშიც მასპინძლებმა ოდნავ უპირატესობას მიაღწიეთ, დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდერობით წავიდნენ, მაგრამ „იუტამ" მესამე მეოთხედში სრულად დაფარა დავალიანება და ბოლო მეოთხედში ყველაფერი თავიდან დაიწყო. ქება „ჯაზმენებს", რომელთაც დასკვნით 12-წუთეულში თამაშიდან ერთხელაც არ ახეირეს ბრაიანტი, მაგრამ, კიდევ ვთქვათ, „ლეიკერსმა" გუნდურ თამაშში დაამტკიცა, რომ პლეი ოფის ფავორიტად კობი ბრაიანტის გამო არ თვლიან.

ლეიკერსელი პაუ გასოლი იუტელ მეჰმედ ოქურს გასცდა

ივანე კოგბიაშვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ფორმულის პატრიარქი შემცვლელს ეძებს

სერ ფრენკ უილიამსი

დაიბადა 1942 წლის 16 აპრილს ინგლისში, სამხრეთ შილდსის საგრაფოში

1968 წელს ჩამოაყალიბა ფორმულა 1-ის გუნდი

მსოფლიოს ჩემპიონატებში „უილიამსი“ მონაწილეობს 1975 წლიდან; მოიგო 113 დიდი პრიზი

პირველი გამარჯვება: 1979, დიდი ბრიტანეთი — კლეი რეგაცონი

„უილიამსის“ პილოტებმა 9-ჯერ მოიპოვეს კონსტრუქტორთა თასი და 7-ჯერ პირად ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონობა: 1980 — ალან ჯოუნსი (ავსტრალია), 1982 — კეკე როსბერგი (ფინეთი), 1987 — ნელსონ პიკე (ბრაზილია), 1992 — ნაიჯელ მენსელი (ინგლისი), 1993 — ალენ პროსტი (საფრანგეთი), 1996 — დეიმონ ჰილი (ინგლისი), 1997 — ჟაკ ვილნევი (კანადა)

1969 წლის მაისი ფორმულა 1-ის პატრიარქ სერ ფრენკ უილიამსის ცხოვრებაში განსაკუთრებული პერიოდია. 4 მაისს შედგა მისი გუნდის დებიუტი, ხოლო ორი კვირის შემდეგ „უილიამსის“ პილოტმა პირს კარიჯმა სენსაციურ წარმატებას მიაღწია — მეორე ადგილი დაიკავა მონაკოს გრან პრიზე. საპირველფორმულო გუნდების ბოსთაგან უილიამსი ყველაზე დიდხანს, მთელი 40 წელია უცვლელად ხელმძღვანელობს თავისივე სახელობის საჯინიბოს. „რკინის ფრენკი“ სწორედ რომ რკინის ნებისყოფითა და ამტანობით აგრძელებს მისთვის უმთავრეს და უსაყვარლეს საქმეს 1986 წლის საშინელი ავარიის მიუხედავად, რომელმაც სამუდამოდ ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა. უმოძრაობისთვის განწირული ხეიბარი ოთხ თვეში დაუბრუნდა საქმიანობას და „სამეფო“ სარბიელზე ტრიუმფალური სვლა განაგრძო. 9 კონსტრუქტორთა თასისა და 7 პირადი პირველობის მომგები გუნდის მეთაურს მსოფლიო ავტოსპორტის განვითარებაში დამსახურებისთვის დედოფალმა ელისაბედმა „რაინდის“ წოდება უბოძა

მორბენალი მრბოლი

ფრენკი 1942 წელს სამხრეთ შილდსში დაიბადა. დედამისი სკოლის მასწავლებელი იყო, მამა — სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი. ბიჭი მანქანებმა პატარაობიდანვე ისე გაიტაცა, რომ მთელ თავისუფალ დროს რბოლების საყურებლად ტრეკიდან ტრეკზე ავტოსტოპით მგზავრობაში ატარებდა. ბოლოს და ბოლოს, სკოლა მიატოვა და ნოტინჰემის ერთ ავტოფირმაში სტაჟიორად მოეწყო.

უილიამსმა კარიერა დაიწყო თავისი ხელით გადახალისებული სარბოლო მანქანით — „ოსტინ A35“, რომლითაც დიდი ხნის წინათ დაქროდა მომავალი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გრემ ჰილი.

60-იანი წლების შუამდე უილიამსი ძარიანი მანქანების ჩემპიონატებში მონაწილეობდა, აგრეთვე ფორმულა 3-ისა და ფორმულა 2-ის ბოლიდებითაც ცდიდა ძალას. ივი საცხოვრებლად ლონდონის გარეუბან ჰაროუში გადავიდა და ავტონაწილებით ვაჭრობა დაიწყო, მალე საკუთარი ფირმაც, „ფრენკ უილიამს რეისინგ ქარს“ დააარსა. იმავე დროს არც ლამის მეორე სპეციალობად ქცეულ ჰობის — სტაიერულ დისტანციებზე სირბილს ივიწყებდა. თანაც მხოლოდ გასართობად არ დარბოდა, ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოდიოდა და არცთუ წარუმატებლად. არაერთხელ სრული მარათონიც ირბინა. ჰქონდა კიდევ ერთი სერიოზული გატაცება — სამხედრო ისტორიის შესწავლა.

როცა მიხვდა, რომ როგორც მრბოლი, საკლუბო დონეს ვერ ასცილდებოდა, ფრენკმა „დიდი პრიზების“ სამყაროში სხვა კარიდან გადაწყვიტა შესვლა. იმდენი თანხის დაგროვება მოახერხა, რომ ერთი ბოლიდი „ბრაბემ BT23“ იყიდა და საჭესთან თანამემამულე მეგობარი პირს კარიჯი დასვა.

„ბრაბემიანი“ კარიჯის დებიუტი 4 მაისს ესპანეთის გრან პრიზე ბარსელონაში შედგა. პირსი ლუდის იმპერიის შემქმნელის შთამომავალი იყო, მაგრამ მამის კვალს არ გაჰყვა და ლუდის ხარშვით უზრუნველ ცხოვრებას ავტომრბოლის კარიერა არჩია. ამით განაწყენებული მილიონერი მშობელი სამძღოლო საქმიანობისთვის ფულს არ აძლევდა და უმცროს კარიჯსაც გაჭირვებით უხდებოდა გზის გაკვლევა.

პირსმა პირველ რბოლაში მხოლოდ 18 წრის გავლა შეძლო, მერე „ფორდ-კოსუორტის“ ძრავამ უღალატა. ორი კვირის შემდეგ მონაკოში კი სენსაცია მოხდა: კარიჯი 16 მონაწილეს შორის ფინიშთან მეორე მივიდა თვით ჰილის შემდეგ. ამას რამდენიმე წარმატებული რბოლა და 27 წლის ინგლისელმა ჩემპიონატი ახალბედასთვის შესანიშნავ მერვე პოზიციაზე დასრულა, თანაც ორი ქულითა და ორი ადგილით ჩამოიტოვა უკან თავისი ბოლიდის ავტორი, ორგზის გვირგვინოსანი ჯეკ ბრაბემი. ასეთი „თავხედობის“ მერე „ბლეკ ჯეკმა“ უილიამსს თანამშრომლობაზე უარი განუცხადა — ვის მოუნდებოდა საკუთარი ხელით „მტრის“ გამოზრდა.

„უიარადოდ“ დარჩენილმა უილიამსმა დახმარებისთვის არგენტინელ მრეწველ ალესანდრო დე ტომასოს მიმართა და მართალია ყოველმხრივი მხარდაჭერაც მიიღო, მაგრამ სამხრეთამერიკელი მილიონერის ავტოები მძიმე, არასაიმედო და თანაც სამართავად მეტად მოუხეშავი გამოდგა.

კარიჯმა 1970 წლის საწყის ოთხ რბოლაში მხოლოდ ერთხელ შეძლო ფინიშამდე მიღწევა, ისიც უქუელო, მეათე ადგილზე, მერე კი, 21 ივნისს, ტრაგედია მოხდა: ჰოლანდიის დიდი პრიზისთვის ბრძოლა ახალი დაწყებული იყო, როცა პირსის ბოლიდს 230 კმ/სთ სიჩქარეზე წინა დაკიდულობის ღერძი გაუტყდა, უმართავი „დე ტომასო 505“ ბარიერს მიეხეთქა და წამში გიგანტურ ჩირაღდნად იქცა. მრბოლს გადარჩენის იოტისოდენა შანსიც არ ჰქონია — ალმოდებულ კოკპიტში ცოცხლად ჩაიწვა.

ფრენკმა მეგობრის დაღუპვა, ცხადია, ძალიან განიცადა. ამან ფირმის საქმიანობაზეც იქონია გავლენა და მომდევნო ხუთი წელი უხეირო მანქანებით ქარავნის ბოლოში ბორიალით პრაქტიკულად წყალში ჩაიყარა. ჭაობიდან თავის დაღწევის მცდელობისას 33 წლის ბოსი ისე მწარედ შეცდა, რომ კინაღამ ჯვარი დაესვა მის საფორმულო ეპოპეას.

მგელი ვალტერი

ვალტერ ვოლფი ავსტრიელი იყო. დიდძალი ქონება კანადაში ნავთობის წარმატებული ბიზნესით დააგროვა. უსახსრობითა და უშედეგობით გატანჯული უილიამსი მას 1976 წლის დასწყისში დაუკავშირდა და ხანგრძლივი პარტნიორობის იმედით თავისი გუნდის აქციათა საკონტროლო პაკეტი მიჰყიდა. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ვოლფს (გერმანულად „მგელი“) მხოლოდ სპონსორის როლი არ აკმაყოფილებდა, სურდა, ავტოფირმის საქმეებში ქმედითი მონაწილეობა მიეღო და თავისი წესების დამყარება დაიწყო. ბუნებრივია, ამას კონფლიქტი მოჰყვა, რის შემდეგაც „მგელი“ კომპანიონს მგლურად მოექცა, გუნდის სახელწოდებიდან უილიამსის გვარი ამოშალა, „ვალტერ ვოლფ რეისინგი“ დაარქვა და ამით საჯინიბოს დამაარსებელი საერთოდ ჩამოშორა.

მაგრამ „რკინის ფრენკი“ არ გატყდა, წელქვემოთ უმძიმეს დარტყმას მედგრად გაუძლო და ერთი წლის შემდეგ საფორმულო სამყაროს ახალი გუნდით — „უილიამს გრან პრი ინჯინიირინგი“ — გამოეცხადა. ეგაა, საქმიანობის ხელახლა დაწყება ფაქტობრივად ნულიდან და ცარიელტარიელს მოუხდა. ფირმა, რომელმაც ბინა დიდკოტში არენდით აღებული ხალიჩების ძველ საწყობში დაიდო, სულ 15 თანამშრომელს ითვლიდა.

მომავალი გამარჯვებათა მთავარი შემოქმედი გახდა იმ დროისთვის ყველასთვის უცნობი 32 წლის ლონდონელი ინჟინერ-მექანიკოსი პატრიკ ჰედი. მასაც საკუთარი მცირე ავტობიზნესი ჰქონდა, მაგრამ ხანძარმა სახელოსნო პირწმინდად გაუნადგურა. გულაცრუებულმა პატრიკმა იახტების კონსტრუირებას მიჰყო ხელი. სწორედ მაშინ დაიყოლია ფრენკმა, ავტოსპორტში დაბრუნებულიყო. მას შემდეგ, უკვე სამი ათეული წელია, ერთად უძღვებიან გუნდს და შესაშურ წარმატებებსაც მიაღწიეს. ეს ბოსისა და მთავარი კონსტრუქტორის თანამშრომლობის სარეკორდოდ ხანგრძლივი პერიოდია და ამ ხნის განმავლობაში მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის 16 პირად-გუნდური ტიტულით, უილიამს-ჰედის განუყრელი, მეგობრული ტანდემი ყველაზე შედეგიანი გახდა ფორმულა 1-ის ისტორიაში.

საუდის არაბეთის პრინცის მუჰამედის სპონსორული „ინექციის“ წყალობით ჰედმა 1979 წელს შექმნა თავისი პირველი შედევრი — „უილიამს FW07“, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა. „ფორდ-კოსუორტის“ ძრავიანი „ნოლ შვიდით“ შვეიცარიელმა ჯანკლაუდიო (კლეი) რეგაცონიმ იმავე სეზონში პირველი დიდი პრიზი მოიგო დიდ ბრიტანეთში, ხოლო მომდევნო წელს ავსტრალიელმა ალან ჯოუნსმა ამ პატარა კერძო საჯინიბოს სენსაციური საჩემპიონო გვირგვინი მოუპოვა.

უილიამსისთვის გუნდური ჩემპიონობა — კონსტრუქტორთა თასი — ინდივიდუალურზე გაცილებით მნიშვნელოვანია. ივი თვლის, რომ შედეგის მისაღწევად მთავარია სწრაფი, უნაკლო ავტომობილი და არა დიდი პილოტი, ვარსკვლავის „შექმნა“ ხომ ნებისმიერი მძღოლისგანაა შესაძლებელი.

გუნდის წინსვლა ვერ შეაფერხა ფრენკის საბედისწერო ავარიამ, რომელმაც კინაღამ შეიწირა მისი სიცოცხლე.

კატასტროფა

1986 წლის მარტის ერთ შაბათ საღამოს საფრანგეთში, სეზონისწინა ტესტების შემდეგ უილიამსი გაქირავების მანქანით სასტუმროში ბრუნდებოდა. ივი ძალიან სწრაფად მიდიოდა.

კატასტროფა ლე კასტელეს ავტოდრომიდან რამდენიმე კილომეტრში, სოფელ მეუნთან მოხდა — ფრენკს საჭე გაექცა, ავტომობილი გზისპირა კიუვეტში ჩავარდა და ამოყირავდა. საშინელი ძალის დარტყმა სწორედ ძძღოლის მხარეზე მოვიდა, სახურავი ჩაჭეჭყა და მან თავის და ხერხემლის უმძიმესი ტრავმა მიიღო.

ფრენკს გონება არ დაუკარგავს, თუმც ხელ-ფეხის განძრევა არ შეეძლო და მიხვდა, რომ პარალიზებული იყო, მაგრამ არ დაპანიკებულა, კრიტიკულ ვითარებაშიც კი მშვიდად ლაპარაკობდა. დაუმთავრებელ საქმეებზე. თითქმის 50 წუთის შემდეგ მისულმა „სასწრაფომ“ დაზარალებული მახლობად ტულონის საავადმყოფოში მიიყვანა, პირველადი დახმარების შემდეგ კი მარსელის კლინიკაში გადაიყვანეს.

კლინიკის წამყვანმა ქირურგმა ვინსენტელიმ ურთულესი ოპერაცია უნაკლოდ კი ჩაატარა, მაგრამ უილიამსის მდგომარეობა მაინც ისეთი მძიმე იყო, რომ რამდენიმე დღე მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ხერხემლის დაზიანების შედეგად ფრენკი კისრის ქვემოთ სამუდამოდ პარალიზებული დარჩა. მას ჯოჯოხეთური ტკივილის გადატანა უხდებოდა, რადგან კრიზისულ ვითარებაში მყოფს ექიმები ბევრ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას არ აძლევდნენ იმის შიშით, რომ სუნთქვის გართულება და ფატალური შედეგი არ მოჰყოლოდა.

ხუთი დღის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა სტაბილური გახდა და ლონდონის კლინიკაში გადაიყვანეს. ფრენკი მუდამ კარგ ფიზიკურ ფორმაში იყო და ყოფილი სტაიერის ძლიერი, ნავარჯიშები ორგანიზმი დაეხმარა სწრაფად დაეძლია კატასტროფისშემდგომი გართულებები. რამდენიმე კვირაში მას სახლში გადასვლის ნება დარჩეს, ხოლო ზუსტად ოთხი თვის შემდეგ სამსახურს დაუბრუნდა, ოღონდ ხეიბრის საგორავში ჩაკრული, და „უილიამსის“ ბოქსებში კვლავ დაიკავა წინამძღოლის ადგილი.

პატრიარქი პენსიაზე?

უილიამსის სენსაციური დაბრუნების შემდეგ საჯინიბოს ზღაპრული 11-წლეული დაუდგა. „ჰონდასა“ და „რენოს“ უმძლავრესძრავებიანი, ჰედის მორიგი სუპერბოლიდებით მოპოვებულ შვიდ კონსტრუქტორთა თასს პიკემ, მენსელმა, პროსტმა, დეიმონ ჰილმა და ჟაკ ვილნევმა თითო პირადი ჩემპიონობაც დაურთეს.

მაგრამ ამ ფანტასტიკური წარმატებების პერიოდში ფრენკმა სასტიკი დარტყმაც იგემა. 1994 წელს მან დიდი ხნის ოცნება აისრულა და პენსიაზე გასული „პროფესორ“ პროსტის ადგილზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აირტონ სენა მიიწვია. ბოსიც და ბრაზილიელი „ჯადოქარიც“ რა თქმა უნდა, ტიტულის რეალური იმედით იყვნენ, მაგრამ მათი მითი ერთ თვეში დაიმსხვრა — სეზონის მესამე რბოლაში იმოლას სწრაფ ტრეკზე აირტონი ბრმა ავარიამ იმსხვერპლა.

უკანასკნელი პილოტ-გუნდური ტრიუმფის (1997) შემდეგ უილიამსის მრბოლებს ვიცე-ჩემპიონობამდეც ვეღარ მიუღწევიათ. ერთადერთი „გამონათება“ გახდა კოლუმბიელ ხუან-პაბლო მონტოიას 2003 წლის მესამე ადგილი გენერალურ კლასიფიკაციაში. მანვე მოუპოვა „უილიამსს“ ბოლო, 113-ე დიდი პრიზი ოთხი წლის წინ.

მიმდინარე სეზონის ხუთი ეტაპის შემდეგ „უილიამსი“ 22 წლის ნიკო როსბერგისა და 23 წლის კაძუკი ნაკაჯიმას 13 ქულით მეოთხეა. ცხადია, სადღეისოდ ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდული წყვილი ყველაფერს იღონებს სატურნირო ვითარების გასაუმჯობესებლად, თუმც მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ძალუძთ, მესამე ადგილია.

სერ ფრენკ უილიამსმა ათასი დაბრკოლების დაძლევით ცხოვრებაში მიაღწია ყველაფერს, რაზეც ოცნებობდა. ივი „სამეფო რბოლების“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მდიდარი მენეჯერია, მაგრამ სულ უფრო უჭირს ამ დაძაბული სამუშაოს გაძღოლა და აშკარაა, რომ დასვენებას საჭიროებს:

„ჩემი დრო მიდის. კარგა ხანია, ვეძებ იმას, ვინც ჩემს ადგილს დაიკავებს და საქმეს უკეთესადაც გააკეთებს. ფანქრის ხეირიანად ხელში დაჭერაც კი არ შემიძლია. ვრეკავ ტელეფონით, მაგრამ სულელურ ღილაკებს დამორჩილება არ სურთ, ნომრის რამდენჯერმე აკრეფა მიხდება“.

იმედია, 66 წლის ბოსის ბიზნესის მემკვიდრე, რომელიც შესაძლოა, უკვე მომავალი ჩემპიონატიდან ვიხილოთ „უილიამსის“ მესაჭედ, მსოფლიოს 16-გზის ჩემპიონის პრესტიჟს არ შეარცხვენს.

გია ახალაძე

მობეზრდა ჩოგბურთი დედოფლის გარეშე დარჩა

ჟუსტინ ენინი წავიდა, თან წავიდა უცებ, ისე რომ, არც თავის საყვარელ „როლან გაროსს“ დაელოდა და არც ოლიმპიადას. ბელგიელმა მტკიცედ გადაწყვიტა კორტის საბოლოოდ მიტოვება და საქმის ცოტა ხნით გადადებაც არ ისურვა.

გუშინ უკვე ვიუწყებოდით, რომ ენინი ჩოგბურთიდან წასვლას გეგმავდა, მაგრამ მაინც გვეგონა, რომ იგი წლის ბოლოსთვის გადადებდა ამ საქმეს. ვინ წარმოიდგენდა, რომ „როლან გაროსის“ ოთხგზის ჩემპიონი პარიზში კიდევ ერთხელ ჩასვლაზე უარს იტყოდა, მით უმეტეს, რომ იქამდე ათიოდ დღეღა რჩება. ეტყობა, ენინს არანაირი მოტივაცია აღარ დარჩა და ამიტომაც გადაწყვიტა ასე უკანმოუხედავად წასვლა.

როგორც არ უნდა იყოს, ჟუსტინი ჩოგბურთის ისტორიაში თავის ადგილს მაინც დატოვებს — ის თავისი თაობის უძლიერესი თუ არა, ერთ-ერთი უპირველესი მეჩოგნე იყო, რომელმაც კარიერაში 41 ტიტულის მოგება მოასწრო, რომელთაგან 7 სლემტიტულია. გარდა ამისა, ენინი ერთადერთი მეჩოგნეა, რომელიც ჩოგბურთიდან მიდის დიდების მწვერვალზე მყოფი ანუ ოფიციალურად მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსის მქონე.

მხიარული როჯერის ხელში ჩოგანიც ხმალია

კაცები
მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია
თიხნარი. საპრიზო 2 270 000 ევრო

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3 6:2; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 7:6 6:2; ანდრეას სეპი (იტალია) — ხუან მონაკო (12, არგენტინა) 6:0 6:3; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:2 6:4; კარლოს მოია (11, ესპანეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:2 6:7 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 7:6 6:3

ქალები
რომი. იტალია. თიხნარი
საპრიზო 1 340 000 დოლარი

მესამე წრე

პატი შნიდერი (9, შვეიცარია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 4:6 6:4 7:6; ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 6:1; სერენა უილიამსი (5, აშშ) — სარა ერანი (იტალია) 6:4 6:3

თავისი მეხუთე ჰამბურგული ტიტულისკენ მიიწევს როჯერ ფედერერი, რომელმაც გუშინ რობინ სოდერლინგი უადვილსად მიჩოგნა. ისე შვეიცარიელი ამ გერმანულ ქალაქში მაინც განსაკუთრებულად კარგად ირჯება ხოლმე — რაც არ უნდა ცუდ ფორმაში იყოს, მის ფონზე მაინც ყველა უსუსურად მოჩანს. ახლაც, როცა ვერავინ დააბრალებს, მძლავრ ფორმაშიაო, ალპელს ორი წრის გასავლელად ჯამში მხოლოდ 2 საათი დასჭირდა.

კარგად გამოიყურება ნოვაკ ჯოკოვიჩიც, რომელმავ გვარიანი ომი გადაიხადა ივო კარლოვიჩთან. ნელი საფარის მიუხედავად, აყლაყუდა ხორვატის ყუმბარმტყორცნი მაინც სრულ წესრიგშია და ნოვაკსაც ამიტომ გაუჭირდა მასთან გამკლავება. თუმც კლასმა მაინც თავისი გაიტანა და სერბმაც მეოთხედფინალს უწია.

ფავორიტთა სიას გამოაკლდა დავიდ ფერერი, რომელიც თანამემამულე ფერნანდო ვერდასკომ შეიწირა. უკვე მერამდენედ გვიწევს იმის თქმა, რომ წლეულს ფერერი საზიზღრად გამოიყურება — გასული წლის ერთ-ერთი ყველზე შთამბეჭდავი მეჩოგნე მიმდინარე სეზონში ზედმეტად არასტაბილურია და ისეთ შეხვედრებს აგებს, რაც მისი რანგის სპორტსმენს არ ეკადრება. ახლაც ვერდასკოს მხოლოდ პირველი სეტი გაუძლო და ტაიბრეიკზე წაავო, მეორეში კი სულაც უშანსოდ იყო.

ტურნირის მთავარი მოულოდნელობა კი ანდრეას სეპია, რომელმაც უკვე მეორე განთესილი გაუყენა სახლის გზას. იტალიელმა ჯერ რიშარ გასკე მიჩოგნა, გუშინ კი არც თიხნარის სპეციალისტად აღიარებული ხუან მონაკო დაინდო და არგენტინელს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

რომაული ამბებიდან ბობოლათა გამარჯვებები გამოვარჩიოთ — ენინის გამოსამშვიდობებელი ხელის დაქნევისა და ანა ივანოვიჩის მოულოდნელი მარცხის შემდეგ ელენა იანკოვიჩი და სერენა უილიამსი ტურნირის უმთავრეს ფავორიტებად იქცნენ, რის გამოც ორივე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. მათაც სტატუსი სრულიად გაამართლეს და მეოთხედფინალში თამაშ-თამაშ შეგრიალდნენ. იანკოვიჩმა დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა მარია კირილენკოს და მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო.

ტრიბუნების მხარდაჭერით გულმოცემული სარა ერანიმ თავგანწირულად კი იბრძოლა, მაგრამ უმცროს უილიამსის მაგვარ მონსტრთან ეს საკმარისი მაინც არ გამოდგა — სერენამ იტალიელს საათზე ოდნავ მეტი ამყოფინა.

კახა ლომაშვილი

ტატიშვილმა პასი ვერ გააჩერა

სალომე დევიძემ ზედიზედ მესამე თამაში მოიგო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ კაროლინის მთავარქალაქ როლის თიხნარზე, სადაც ITF-ის ეგიდით 50-ათასიანი ტურნირი ტარდება.

სალომემ შეჯიბრი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და უკვე ძირითადი ბადის მეორე წრეშია. პირველ წრეში დევიძემ კორტის მასპინძელი, 22 წლის ნეა უბეროი 2:6 6:4 6:2 დაჯაბნა.

მეოთხედფინალში გასასვლელ შეხვედრას სალომე პირველ ნომრად განთესილ უკრაინელთან, 23 წლის ტატიანა ლუჟანსკასთან ჩაატარებს, ვისაც WTA-ს რეიტინგში 182-ე ადგილი უკავია. ლუჟანსკამ პირველ წრეში 6:2 7:5 მოუგო თავის თანამემამულე ანასტასია ხარჩენკოს, სწორედ იმას, ვინც დევიძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 6:0 6:0 გაანადგურა. ხარჩენკო ძირითად ბადეში „იღბლიანი წაგებულის“ სტატუსით მოხვდა, რადგანაც ერთ-ერთმა მონაწილემ თამაშზე უარი განაცხადა, თუმც, როგორც ვხედავთ, იღბალი მალევე ამოეწურა.

სამწუხაროდ, პირველივე წრეში დამარცხდა ანა ტატიშვილი, ვინც როლიში მე-6 ნომრად იყო განთესილი. ანას კვალიფიკაციიდან წამოსულმა 16 წლისა და რეიტინგის 409-ე საფეხურზე მყოფმა ვენესუელელმა გაბრიელა პასმა ორ სეტში, 7:6 6:3 აჯობა. არადა, ამ პასს ტატიშვილმა ერთი კვირის წინ ფლორიდულ ტურნირზე მოუგო.

კიდევ ერთი ჩვენებური, კერძოდ კი გიორგი ხრიკაძე ამ კვირაში პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს შეჯიბრზე „ვაილდ ქარდით“ იყო მიწვეული. თუმც ქართველმა ჩოგბურთელმა ორგანიზატორთა კეთილი ნებით ვერ იხეირა და პიველივე წრეში 4:6 6:7 წაავო რეიტინგის 671-ე ნომერთან, პოლონელ ეჟი იანოვიჩთან.

პლეი ოფი ნახევარფინალი

დასავლეთი

დალასი 3:1 დეტროიტი
0:0 1:0 2:1
სერია დეტროიტს მიჰყავს 3:1
1:0 ერიქსონი (40, რობიდა, ლუნდკვისტი), 1:1 ზეტერბერგი (41, დაციუკი), 2:1 მოდანო (46, უმრ. ზუბოვი, რიჩარდსი), 3:1 მოროუ (55, რიბეირო, ზუბოვი)

მსოფლიოს ჩემპიონატი. პალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

მეოთხედფინალი

რუსეთი 6:0 შვეიცარია
3:0 3:0 0:0
1:0 სიომინი (2), 2:0 აფინოგენოვი (3), 3:0 ზარიპოვი (7), 4:0 ფიოდოროვი (22), 5:0 აფინოგენოვი (27), 6:0 ოვეჩკინი (39)

ჩეხეთი 2:3 შვედეთი
0:0 1:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)
0:1 ჩერნკვისტი (28), 1:1 როლინეკი (31), 2:1 ვრბატა (53), 2:2 ნილსონი (57), 2:3 ვეინჰანდლი (64)

ნორვეგია 2:8 კანადა
1:2 1:3 0:3
0:1 ჰიტლი (1), 1:1 ასკი (8), 1:2 გუცლაფი (12), 2:2 ულიმში (26), 2:3 ტეივსი (30), 2:4 როი (35), 2:5 როი (37), 2:6 ნეში (45), 2:7 ნეში (51), 2:8 როი (52)

აშშ 2:3 ფინეთი
0:1 0:1 2:0 0:1 (ოვერტაიმში)
0:1 რუუტუ (11), 0:2 ნისკალა (26), 1:2 კესელი (56), 2:2 სტეფორდი (57), 2:3 ლეპისტო (64)

შენიშვნა: *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები გუნდებს გადმოყოლილი აქვთ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები*

განმეორება აღვილია

შარშანდელი ჩემპიონტის შემდეგ მსოფლიო ჰოკეში ძალთა განლაგება ოდნავადაც არ შეცვლილა — კანადაში ნახევარფინალს ისევ იმ ოთხმა გუნდმა უწია, რომლებმაც ეს ერთი წლის წინ რუსეთში მოახერხეს. მეტიც, კვებეკში ნაკრებები ნახევაფინალებში ისევე დაწყვილდნენ, როგორც მოსკოვში — კანადა შევდეთს დაეტაკება, რუსეთს კი ისევ ფინეთი ერგო.

მეოთხედფინალები ზუსტად იმ სცენარით წარიმართა, როგორც პროგნოზში ვვარაუდობდით — კანადელებმა და რუსებმა იოლად იმარჯვეს, მაშინ, როცა ორ დანარჩენ წყვილში ნამდვილი ომი გაიმართა და გამარჯვებულის გამოსავლენად ოვერტაიმები გახდა საჭირო.

კანადელებმა დაამტკიცეს, რომ ჯგუფურ ეტაპზე ნორვეგიასთან ნაჩვენები უხეირო თამაში მეტოქის შეუფასებლობის ბრალი იყო. ამჯერად მასპინძლები მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ ვიკინგებთან შეხვედრას და შედეგად 8:2 იმარჯვეს კიდეც — დერეკ როი კი მესამე კანადელია, ვინაც ამ ჩემპიონატზე ჰეთ თრიქი შეასრულა.

რუსებმა ექვსი უპასუხო შაიბით „დაასაჩუქრეს“ შვეიცარიელები ფინელებმა კი ახალგაზრდა ამერიკელებთან მაგრად იწვალეს. ჯგუფური ტურნირისგან განსხვავებით, ამჯერად იანკებმა ორშაიბიანი დეფიციტის აღმოფხვრეს, მაგრამ ოვერტაიმში ევროპელთა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა — უკანახაზელ სამი ლეპისტოს უძლიერესად გასროლილმა ფინელებს ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

ფავორიტების რანგში ხვდებოდნენ შვედებთან შეხვედრას ჩეხები, რომლებმაც კანადაში გაცილებით ძლიერი შემადგენლობა იახლეს. მაგრამ ბენგტ-აკე გუსტაფსონმა თავის შეგირდებს თამაში მაქსიმალურად ჩაახუთვინა, რათა სწრაფი ჩეხებისთვის თავისუფალი სივრცე მოესპო და ამან გაამართლა კიდეც. თუმც „ტრე კურნერმა“ ძირითად დროში მაინც ვერ იხეირა და მხოლოდ დამატებითი ტაიმის მიწურულს შეძლო ჩეხთა საბოლოოდ გატეხვა — გამარჯვებისა მატიას ვაინჰანდლმა შეაგდო.

კახა ლომაშვილი

შვედეთი
სუპერლიგა. VI ტური
ბრომაპოიკარნა 2:1 ანგელჰოლმი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. V ტური
იარო 1:1 როვანიემი
ჰონკა 7:0 ჰაკა
მარიეჰამნი 0:2 ვაასა
ინტერი 1:1 ჰიკ
კუოპიო 2:0 კტპ
ტამპერე 0:2 ლაჰტი
მიუპა 1:0 ტურკუ

ისლანდია
I დივიზიონი. II ტური
ბრეიდაბლიკი 0:0 თროტური
ფიოლნირი 2:1 რეიკიავიკი
ფრამი 2:0 კოპავოგური
კეფლავიკი 2:1 ფილკირი
ჰაფნარფიორდური 2:0 აკრანესი

რუსეთი
პრემიერლიგა. XI ტური
ტომი 1:1 ლუჩ-ენერგია
რუბინი 1:1 შინიკი
სპარტაკი 1:0 სატურნი
მოსკვა 1:1 კრილია

ამხანაგური მატჩი
უელსი (U-21) 0:2 ინგლისი (U-21)

ინგლისი
I ლიგა. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
კარლაილი 0:2 ლიდსი (2:1)

ჰოლანდია
საუფფასთასო პლეი ოფი. ფინალი. I მატჩი
ნაიმეგენი 6:0 ბრედა
გადასასვლელი პლეი ოფი
ვალვაიკი 2:2 დენ ჰააგი
გრააფსხაპი 0:0 ზვოლე

დანია
სუპერლიგა. XXXI ტური
მიდტიულანდი 3:1 ოდენსე
კოპენჰაგენი 3:0 ვიბორგი
ნორდსიელანდი 0:0 ლიუნგბიუ
რანდერსი 0:0 ჰორსენსი
ესბიერგი 0:1 ორჰუსი
ოლბორგი 2:0 ბრონდბიუ

ნორვეგია
I დივიზიონი. VII ტური
სიოგნდალი 1:1 ნოტოდენი

ეროვნული გუნდის კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე შვიდკაცა ნაკრებსაც დაუბრუნდა

გაფრი კეთილაძის ფოტო

ქართული შვიდკაცა ევროპას გაეშურა

2009 წლის 5-7 მარტს დუბაიში შვიდკაცა რაგბიში მეხუთე მსოფლიოს თასი გაიმართება. ქართველი მოშვიდკაცეები მსოფლიოს თასზე 2001 წლიდან რაგბობენ. იმ წელს არგენტინაში მე-10 ადგილი დაიკავეს, 2005 წელს ჰონკონგში მე-11 ადგილს დასჯერდნენ, 2009 წლის გათამაშებისთვის კი შესარჩევი ეტაპები ახლა იწყება და ამ შესარჩევში ქართველი ქალმორაგბეებისგან განსხვავებით, კაცებს უკეთ ბურთაობა მართებთ. საქმე ისაა, რომ „ლელოებს" დუბაიმდე ევროპის ჰანოვერული 12-გუნდა ფინალი აქვთ მოსაველელი. გერმანიაში ხუთ საუკეთესო გუნდში უნდა მოხვდნენ, თორემ არაბეთის მშვენიერი საემირო განზე დარჩებათ.

ჰანოვერამდე მისვლასაც გვარიანი ოფლის ღვრა სჭირდება, ვინაიდან შვიდი შესარჩევი ეტაპია ჩასატარებელი და ამ შვიდიდან კი თითოეული გუნდი ორში მონაწილეობს. ქართველებმა შესარჩევ ეტაპებზე სულ მცირე, მესამე ადგილი მაინც უნდა დაიკავონ, თორემ ჰანოვერში ვერ მოხვდებიან.

ჩვენს შვიდკაცა ნაკრებს ისევ კახა ალანია წვრთნის, ხოლო მენეჯერობა გიორგი (მეხანიკა) ასათიანს აკისრია. ნაკრებში ლეგიონერებიც არიან. „ლელოები" თავიანთ წილ ორ ტურნირს პოლონურ სოპოტში და თბილისში ჩაათამაშებენ. მათ არცთუ რთული ქვეჯგუფები ერგოთ და ორივეგან უნდა შეძლონ საპრიზო სამეულში შესვლა. ისე კი, ბოლო დროს ქართული შვიდკაცა ხელშესახები წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. ჯერ იყო და, საფრანგეთის არაოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე ნაკრებმა ვაკეში ორჯერ აართვა „თბილისის ფარი", ხოლო გასულ წელს ევროპაში ჩვენებურებმა მეშვიდე პოზიცია დაიკავეს, რის გამოც „მსოფლიოს სერიიდან" გამოუშვეს.

სოპოტის ეტაპი ორი ჯგუფისგან შედგება. A ჯგუფში საქართველოსთან ერთად მოლდოვა, ლიტვა, უნგრეთი და დანია გამოდიან, ხოლო B ჯგუფში ირლანდიას, პოლონეთს, ლატვიას, ჰოლანდიასა და ნორვეგიას მოუყრიათ თავი.

თბილისურ ეტაპზე გუნდები ამგვარად დაჯგუფდნენ — A ჯგუფი: საქართველო, უელსი, ბულგარეთი, ისრაელი, კვიპროსი

B ჯგუფი: მოლდოვა, უკრაინა, ლატვია, აზერბაიჯანი, საბერძნეთი.

გუშინ კი საქართველოს ნაკრები ჰოლანდიაში გაემგზავრა მოსათელ ტურნირზე სათამაშოდ.

ზურაბ მიგრიაული

24-25 მაისი, სოპოტი (პოლონეთი); 7-8 ივნისი, თბილისი (საქართველო); 12-13 ივლისი. ჰანოვერი (გერმანია)

1 ვასტანგ ახვლედიანი (ლოკომოტივი)
2 სანდრო ნიჟარაძე (ყოჩები)
3 ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები)
4 ირაკლი ყიასაშვილი (ლელო)
5 ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფ.)
6 სიმონ მაისურაძე (კლერმონი, საფ.)
7 ლექსო გუგავა (ლოკომოტივი)
8 გიორგი კაჭარავა (ყოჩები)
9 დავით ჩიტიძე (ლოკომოტივი)
10 გიორგი კობერიძე (ლოკომოტივი)
11 ილია გოგეშვილი (თსუ)
12 ფრიდონ უდესანი (ლოკომოტივი)
13 ნოდარ ანდღულაძე (ლოკომოტივი)
მწვრთნელი: კახა ალანია
მენეჯერი: გიორგ ასათიანი
ექიმი: აბესალომ აბრამიშვილი

ქართული ხელბურთი მეთაურს ელის

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე მოულოდნელად რომ გადადგა გუშინწინდელი ამბავია. თამაზ თევზაძემ საკუთარი ინიციატივით დატოვა პრეზიდენტის თანამდებობა. არადა, ამ ბოლო დროს ქართული სანაკრებო ხელბურთიც გამოცოცხლდა ეროვნული ჩემპიონატიც ფერზე მოვიდა.

გუშინ თამაზ თევზაძეს რომ დავუკავშირდით ეს გვითხრა: „პირადი პრობლემების გამო იძულებული გავხდი, თანამდებობა დამეტოვებინა. ხელბურთის სამყაროში არავისზე ვარ ნაწყენი. მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი პრობლემებია. რაც მთავარია ჩემი წასვლით არ შეფერხდება პროექტები, რომლებიც საქართველოში ხელბურთის განვითარებისთვის ხორციელდება. ახლა პრეზიდიუმი გადაწყვეტს ვინ გაუძღვეს დროებით ხელბურთის ფედერაციას, რადგან სექტემბერში ისედაც უნდა ჩატარებულიყო საპრეზიდენტო არჩევნები. მე კი თუ ახალი პრეზიდენტს დავჭირდები, მზად ვარ დავეხმარო."

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები სექტემბერში უნდა გაიმართოს, იქამდე კი პრეზიდიუმი ალბათ დროებით რომელიმე ვიცე-პრეზიდენტს დაავალებს ფედერაციის თავკაცობას. ვიცე პრეზიდენტი კი სამია: მერაბ მეტრეველი, ჯემალ ცერცვაძე და ნუგზარ მინდელი.

ბაჩო სვანიძე

M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

VI ტური

ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	0,5:0,5	თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)
ბუ სიანცეი (ჩინეთი)	0:1	ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0	ლევონ არონიანი (სომხეთი)

1. ვასილ ივანჩუკი	5,5
2. ვესელინ ტოპალოვი	4,5
3. ივან ჩეპარინოვი	3
4. თეიმურ რაჯაბოვი	2,5
5. ლევონ არონიანი	1,5
6. ბუ სიანცეი	1

აზმაიფარაშვილმა ბურთი გააგორა

„არ მაინტერესებს, ივანჩუკი რამდენ ქულას დაავროვებს, ვინდაც ყველა პარტია მოიგოს, მე ჩემს შედეგზე უფრო ვფიქრობ. იმედია კონკურენტებიც დამეხმარებიან, ერთმანეთს ბევრ ქულას დააკარგვინებენ და წინაც წავიწევი" — განაცხადა ვესელინ ტოპალოვმა თამაშის წინ.

მეექვსე ტურში ბულგარელს მართლაც კარგი საჩუქარი გაუკეთა რაჯაბოვმა, ვინაც ივანჩუკს ნახევარი ქულა დასცინცლა და ტოპალოვი ერთი ქულით მიაახლოვა.

აზერბაიჯანელმა დიდი ბრძოლები გაუმართა უკრაინელს, საკმაო ფიგურები უნოცა და 41-ე სვლაზე ყიმზე დაითანხმა. ტოპალოვმა კი მეორედ დაამარცხა არონიანი და ჯერჯერობით მეორე ადგილზე გამყარდა.

წინა დღეს მოჭადრაკეთა სოფიის „ლევსკის" ფეხბურთელებთან ბურთი გააგორეს და 2:3 დამარცხდნენ. მოჭადრაკეთა გუნდში ქართველმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმაც ითამაშა. ტურნირზე იგი რაჯაბოვის სეკუნდანტია.

ლაშა გეგეჭკორი

გეორ-გიას საქა-რთველომ აჯობა

პლაჟის ფრენბურთში თუ ჩვენს კაცთა წყვილს, გეორ და გიას, პეკინის ოლიმპიადის საგზური პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ, ქალთა წყვილს, საქა-რთველოს, საამისოდ დარჩენილ ოთხ ეტაპზე გვარიანი ბრძოლა მოუწევს.

საქა და რთველო ახლა სამხრეთ კორეაში სალიცენზიო ეტაპზე ჩაუქობენ და სარეიტინგო ქულებსაც იხვეჭენ. სამხრეთკორეული ფრენბურთობა ჩვენმა ქალებმა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყეს. ანდრეზამ და კრისტინამ ჯერ ყაზახური წყვილი მაშკოვა და ტურიშევა დაამარცხეს ორ სეტში, მერე კი ფრანგებს, ჟიუს და ჰამზის, ნახევარ საათში მოუთავეს საქმე — 2:0.

ამ ორი მოგებით საქა და რთველო ძირითად ბადეში მოხვდნენ, მაგრამ პირველივე მატჩი ავსტრალიელებთან, ბარნეტთან და კუკთან 0:2 დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენებმა მაინც განაგრძეს ბრძოლა, რაკი პლაჟის ფრენბურთში ძირითად ბადეში ერთი წაგება გეპატიება. მეორე წრეში საქა-რთველომ ხასიათი გამოიკეთა და ტურნირის მასპინძლები, დები ლიები, 2:0 დაამარცხა.

დღეს ქართული წყვილი ტურნირის მე-10 ნომრებს, ბერძნებს, კარანტისუს და არვანიტისს შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში გვარიან სარეიტინგო ქულებსაც ჩაიწერს.

ქალების პარალელურად, იტალიის ეტაპზე თამაშობდნენ კაცებიც, გეორ და გია, თუმცა მათი იტალიური ფრენბურთობა ოდენ ერთდღიანი გამოდგა. რენატომ და ჟორჟმა საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი მატჩი კი მოიგეს, მაგრამ ძირითად ბადეში მოსახვედრ შეხვედრაში ვენესუელელებთან, ერნანდესთან და ჯეეკსონთან 1:2 წააგეს და ტურნირს დაემშვიდობნენ.

ბაჩო სვანიძე

ქართველებმა ისევ წყვილად წააგეს

იოკოძუნა ჰაკუხო, ოძეკი კოტოოსიუ და დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა ტოიონოსიმა დაუმარცხებლად მიუყვებიან მაისის ბაშოს აღმართს. ჰაკუხომ მეხუთე შეხვედრაში ილეთ უვატენაგეთი მოუგო სეკივაკე კოტოსეგიკუს. კოტოოსიუმ ძალდაძალ გადასვა დოჰიოდან კომუსუბი ასასეკირიუ, ტოიონოსიმამ კი ოსიდასით მოუგო დასავლეთის მე-8 მაეგაშირა ტაკეკაძეს.

დიდმა ჩემპიონმა ასასიორუმ აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა მიაბიამას ოსიდასი უგანა და ამით მეოთხე გამარჯვება მიითვალა.

კვლავაც წარუმატებლად იჭიდავა იაპონიაში კოკიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ. იგი ოძეკი კაიოს ხვდებოდა და უვატანაგეთი დამარცხდა. „შავ ზღვას" ხუთიდან ხუთივე მარცხი აქვს და მაისის ბაშოზე დადებითი ბალანსის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. მომდევნო ორთაბრძოლას „შავი ზღვა" ერთი მოგების მქონე დასავლეთის მესამე მაეგაშირა კაკურიუს ხვდება და თუ მასთანაც ვერ იმარჯვა, მართლაც, შავად ექნება საქმე.

მაკუჩიში პირველად მოფალავნე მეორე ქართველმა ლევან გორგაძემ საწყის სამ გამარჯვებას უკვე მეორე მარცხი მოაყოლა. ტოჩინოშინად წოდებული 20 წლის ქართველი გოლიათი, რომელიც მე-14 მაეგაშირას სტატუსით გამოდის, იორიკირით დამარცხდა სამი გამარჯვების მქონე დასავლეთის მე-10 მაეგაშირა ვაკანოსატოსთან. მომდევნო შეხვედრას გორგაძე 4 გამარჯვების პატრონ ტოიოხიბიკისთან გამართავს.

ზურაბ მიგრიაული

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი ლარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპარიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ შიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00